# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 26 აპრილი 2008 №094 (3318) ფასი 50 თეთრი

# ბორჯღალის კაცებს თქვენი ხმა და გული სჭირდებათ

ევროპის ერთა თასი

**საქართველო — ესპანეთი**

დღეს: თბილისი. ეროვნული. 15 საათი

# თუ ლომია, დაგვეჭიდოს ესპანეთი!

ალბერტ ალექსანდრიას ფოტო

# წინაპართა თასი საქართველოს ფეხბურთისთვის

## თაობიდან თაობისთვის გადაცემულსა და უკვე ვერცხლად ქცეულზე ისტორია ამოიტვიფრება

# დასუთულობა გლდანში და რამდენიმე საღლეისო პასუხი

„ამერი“ 5:0 „მგლები“. დიმიტრი ტატანაშვილის პირველი გოლისას ზუგდიდელთა მეკარე მანუჩარ ივარდავამ ბურთს ფეხი აი, ასე ამოჭკრა...

ბადრი ბერიძის ფოტო

ხუთ დღეზე გაწელილი 23-ე ტური დღეს დასრულდება და ისეთი მატჩებია, ვერ იტყვი, რომელია უფრო მნიშვნელოვანი.

„სპარტაკი“ — „ზესტაფონი“, „მერანი“ — „ლოკომოტივი“, „ბორჯომი“ — „დილა“ ამ ექვსი გუნდიდან ოდენ „ბორჯომია“ უმოტივაციო, დანარჩენებს კი საბრძოლო აქვთ. „ზესტაფონი“ ჩემპიონობისთვის თუ ნაკლებად, მეორე, საუფასთასო ადგილისთვის, დანარჩენები კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან. ჰოდა, შესაძლოა, დღეს რაღაც-რაღაცები გაირკვეს.

ეს დღეს, გუშინ კი სამი თამაში ჩატარდა და სენსაციურიც არაფერი მომხდარა: „ამერი“ და „ვიტ ჯორჯია“ იოლად გაუსწორდნენ „მგლებსა“ და „ბათუმს“, „ოლიმპმა“ კი ბოლნისში წაგებული პირველი ტაიმის მერე თამაში სათავისოდ შემოატრიალა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58:13 | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 18 | 3 | 2 | 43:10 | 57 |
| ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51:12 | 54 |
| ამერი | 23 | 14 | 2 | 7 | 46:24 | 44 |
| ოლიმპი | 23 | 13 | 4 | 6 | 23:16 | 43 |
| მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24:28 | 32 |
| ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25:27 | 28 |
| მგლები | 23 | 8 | 3 | 12 | 21:29 | 27 |
| სიონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:32 | 26 |
| ლოკომოტივი | 22 | 5 | 5 | 12 | 15:26 | 20 |
| სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8:23 | 18 |
| მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12:45 | 16 |
| ბათუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 13:44 | 15 |
| დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8:44 | 8 |

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! მომდევნო „სარბიელი“ გამოვა 29 აპრილს**

# საქართველოს წინაპრების თასი
## ვინ ამოიტვიფრება პირველი?

ბ. ურაგ დოლიძის ფოტო

ნიკოლოზ ბახტაძე, დიმიტრი რამიშვილი და პაატა ბურჯალიანი

**გუშინ** „მიხეილ მესხზე“ მისულ ჟურნალისტებს საქართველოს ახალი თასი დაგვხვდა და მისი პრეზენტაცია გაიმართა. რომელი გუნდის კაპიტანი აწევს ამ ლამაზ თასს პირველად, 16 მაისს გავიგებთ — წლევანდელი თასის ფინალი ხომ 26 მაისიდან 10 დღით გადმოიწია, რაც გუშინაც გვეწერა.

თასის პრეზენტაციას პრესკონფერენციაც მიეძღვნა, რომელსაც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და კომპანია „ყაზბეგის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ბახტაძე გაუძღვნენ.

*დიმიტრი რამიშვილი:* დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს გენერალურ სპონსორ „ყაზბეგს“ და თასის დამამზადებლებს. ლამაზი ნამუშევარია, მთლიანად ვერცხლისაა და ამასთან, ისტორიული მნიშვნელობისაა — ესაა ძველქართული თასი, რომელიც აღმოსავლეთ მთიანეთში არსებობდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ჩვენ „ყაზბეგთან“ ერთად გადავწყვიტეთ, ამ თასს სპორტული სახე მისცემოდა...

...თასის ფინალი 10 დღით ადრე იმიტომ დავნიშნეთ, რომ 27 მაისს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს ესტონეთთან და, სავარაუდოდ, ეროვნულ ნაკრებში ფინალის მონაწილე გუნდების ფეხბურთელებიც იქნებოდნენ. თვითონ კლუბებმაც ითხოვეს ვადის გადმოწევა. შესაბამისად, რადგან ფინალი 16 მაისსაა, ჩემპიონატის ბოლო ტური 20 მაისისთვის გადაიწევა. ფინალური შეხვედრა „ეროვნულზე“ გაიმართება და პირდაპირი ტელერეპორტაჟი „კოლხიდას“ მეშვეობით „მზეზე“ გადაიცემა.

*პაატა ბურჯალიანი:* როგორც იცით, გუშინ პროფლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა და გადაწყდა, რომ პროფლიგის ახალი წევრი გახდა პირველლიგელი მარტვილის „მერანი“. რაც შეეხება თასს, მისი ორიგინალი ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

*ნიკოლოზ ბახტაძე:* ნიშანდობლივია, რომ ამ თასმა წინაპრების ხელში გამოიარა. ჩვენ შევქმენით ექსპედიცია, რომელმაც მოგვიტანა ამ ნამუშევრის ანალოგი ხის თასი. მგონი, სილამაზით და ეფექტურობით ევროპის პრესტიჟულ თასებს არ ჩამოუვარდება. ეს ქმნილება მთიანეთში ღირსშესანიშნავი მოვლენების თუ დღესასწაულების დროს თამაშდებოდა ხოლმე.

მოკლედ, ახალი თასი და ახალი სტიმული. ამ თასს 16 მაისს ახალი მფლობელი ეყოლება — „ამერი“, „ბორჯომი“, „ზესტაფონი“ ან „დინამო“. რამიშვილმა ისიც გვითხრა, გეგმაში გვაქვს, თასზე გამარჯვებული კლუბების სახელები და წლები ამოვტვიფროთო.

ერთიც, თასი გარდამავალია.

**ილია ნანობაშვილი**

# მეკუთვნის ხელფასი თუ არა?!
## გოგი ფიფია მარტო ვარჯიშობს

**არც** ხელფასი, არც გუნდთან ერთად ვარჯიში — ასეა გოგი ფიფიას საქმე, არადა, რა ძალას წარმოადგენდა ის „ზესტაფონისთვის“, ყველამ იცის.

გეხსომებათ, ფიფიამ ფეროელთა კლუბთან არ გააგრძელა კონტრაქტი, რომელიც აგვისტოში უმთავრდება.

ფიფიას უგუნდობის თავი და თავიც ესაა...

„ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, სამწუხაროდ, სხვა გუნდში ვარჯიშის უფლებაც არ მაქვს. არადა, ცხინვალის „სპარტაკის“ მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი თანახმა იყო, მათთან ერთად მოემზადებულიყავი. რას ვიზამ, „ზესტაფონს“ ახლა აღარ აინტერესებს ჩემი ამბავი“ — გვითხრა გოგიმ.

რაც შეეხება ხელფასს, ფიფიამ გვითხრა, რომ ეს გადაწყვეტილება „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას მიუღია და ფეხბურთელიც ამას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ასაჩივრებს...

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შევიტანე განცხადება და განიხილავენ, მეკუთვნის ხელფასი თუ არა. კოკაიასთან საუბარი ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ამაოდ“.

**ილია ნანობაშვილი**

# რატი ბურთმა გაახარა

**გუშინ გლდანში, „ამერის“ თამაშის შესვენებისას, გულშემატკივართა შორის მჯდომ რატი წინამძღვრიშვილს გავესაუბრეთ.**

**გეხსომებათ, ამერელთა 20 წლის ფორვარდი ცხრა თვის წინ ჩეხეთში შეკრებაზე ყოფნისას „ლიბერეცთან“ ამხანაგური მატჩის ბოლო წუთებზე დაშავდა. თუმც ტრავმაცაა და ტრავმაც — რატის მუხლი ისეთ დღეში ჰქონდა, ახლაღა იწყებს ნელ-ნელა ბურთით ვარჯიშს.**

**ამ თვეების განმავლობაში რატის მკურნალობაზე რამდენჯერმე გვეწერა და გუშინ ისევ მოვიკითხეთ...**

— ბურთით ახლახან დავიწყე ვარჯიში და ძალიან გახარებული ვარ. წარმოიდგინე, როგორ მიჭირდა ამდენი ხანი უბურთოდ ყოფნა.

**— გუნდთან ერთად როდის დაიწყებ ვარჯიშს?**

— ალბათ, ორ-სამ კვირაში. მოუთმენლად ველოდები, ბიჭებთან ერთად როდის ვიქნები. ჯერჯერობით კი ინდივიდუალურად ვმუშაობ.

**— ანუ რეაბილიტაცია კარგი ტემპით მიდის...**

— დიახ, ჩეხეთში ოპერაციები რომ გავიკეთე, მაშინ მითხრეს, რამდენი დრო დამჭირდებოდა ფეხზე დასადგომად და ყველაფერი ზუსტად იმ გრაფიკით მიდის. აქაური ექიმებისაც ძალიან მადლიერი ვარ. პავლე კასრაძე და ავთანდილ მიქაბერიძე რომ არა, მხოლოდ ოპერაციები, ცხადია, შედეგს არ მოიტანდა.

**— მოედანზე ახალი სეზონის დაწყებისთანავე გახვალ?**

— ყველაფერი აქეთ მიდის. დარწმუნებული ვარ, იმ დროისთვის ძალიან კარგ ფორმაში ვიქნები.

**კოტე კეკელია**



ბ. ურაგ დოლიძის ფოტო

# საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი
II წრე. 23 ტური

**ბათუმი. 25 აპრილი. 16 საათი. ადელი. 400 მაყურებელი**

## ბათუმი 0:3 ვიტ ჯორჯია

**0:1, 0:2 ბეჭვაია (10, 23), 0:3 ყველაშვილი (25)**

| ბათუმი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ბათუმი: სტურუა, გ. კუნჭულია (კაკალაძე 55), კ. მახარაძე, თედორაძე, ა. ბაჯელიძე, ცანავა, ბეფანიძე (ოქრუაშვილი 59), ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი (ტუღუში 64), ქებაძე, გ. ნოდ. ჭელიძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ყველაშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, ბეჭვაია, კლიმიაშვილი (გ. დათუნაიშვილი 86), გ. მელქაძე, სახოკია (ლიბარტია 76), ღუჭაშვილი (ბერიაშვილი 55) |
| *სათადარიგო:* თოთლაძე, ფარტენაძე, გალოგრე, ზ. ქუთათელაძე | *სათადარიგო:* მიქაბერიძე, ადამაძე, კვაღინიძე, მაისაშვილი |
| მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია | მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

**გაფრთხილება:** ბაბუნაშვილი (56), ოქრუაშვილი (79)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, დ. კვეტენაძე, ზ. ხუციშვილი, პ. დოგრაშვილი

# ბათუმმა იმედის მატჩიც წააგო
## ვიტურ-კუთხური ჰეთ თრიქი

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**„ბათუმი“** „ვიტ ჯორჯიასთან“ შედარებით აშკარად სუსტად გამოიყურებოდა. გულშემატკივრებს საკუთარი გუნდის მაინც ჯეროდათ, თუმცა ამაოდ.

მატჩის დასაწყისშივე სტუმრებმა მთელი ძალებით შეუტიეს. მეათე წუთზე კი გოლიც გავიდა — სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს, ბეგლარ თედორაძემ გამოიტანა, ლუკა რაზმაძემ შორიდან დაარტყა კარში, საჯარიმოში მდგომ გიგა ბეჭვაიას ბურთი თავზე მოხვდა და მეკარემ უცნაური ტრაექტორიით წასული ბურთის მოგერიება ვეღარ მოახერხა — 0:1.

23-ე წუთზე მეორე გოლი გავიდა ბათუმელთა კარში, რაც კვლავ მელქაძის და ბეჭვაიას აქტიურობას მოჰყვა — მელქაძის კუთხურს ბეჭვაიამ ზუსტი თავური მიაოლა — 0:2.

რამდენიმე წუთში კი „ბათუმი“ უკვე გამანადგურებელი ანგარიშით აგებდა — პაატა დათუნაშვილმა კუთხურიდან ჩააწოდა, ყველას ამირან ყველაშვილმა დაასწრო და მაღალი ნახტომით მესამედ შეარხია ზვიად სტურუას კარის ბადე — 0:3.

პირველ ტაიმში ვიტელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ეტყობოდათ, რომ მოტივაცია აღარ ქონდათ.

მეორე ტაიმი კი ბათუმელებმა ისე დაიწყეს, როგორც მასპინძლებს შეეფერებათ, მაგრამ გოლის გატანა რომ ვეღარ მოახერხეს, კინაღამ ჩხუბზე გადავიდნენ და მატჩის მთავარმა მსაჯმა დროულად შეძლო სიტუაციის განმუხტვა.

### ინგლისი
I ლიგა. XLV ტური
იოვილი 0:1 ლიდსი

### გერმანია
ბუნდესლიგა. XXX ტური
აინტრახტი 1:1 დორტმუნდი
II ბუნდესლიგა. XXX ტური
აუე 3:3 კიოლნი
ლაუტერნი 2:1 ალემანია
პადერბორნი 3:2 კობლენცი
ჩრდ. რეგიონალლიგა XXXI ტური
ესენი 3:0 ვერდერი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა XXVIII ტური
ბაიერნი (მ) 1:3 შტუტგარტი (მ)
ინგოლშტადტი 2:1 ოგერშაიმი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXV ტური
ბასტია 2:3 შატორუ
ბრესტი 1:0 ამიენი
კლერმონი 2:1 სედანი
დიჟონი 1:0 გენგამი
გენიონი 1:0 ნიორი
ლე ავრი 2:0 რეიმსი
ლიბურნი 1:1 ანჟერი
ტრუა 2:2 ბულონი
ნანტი 1:1 მონპელიე

### ბელგია
იუპილერლიგა. XXXII ტური
ლოკერენი 1:1 გენტი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXVIII ტური
ბრაგა 2:1 ფერეირა

### ავსტრია
I დივიზიონი. XXVIII ტური
აუსტრია (ლ) 2:1 ლუშტენაუ
შვადორფი 3:2 ზალცბურგი (მ)
გრატკორნი 1:2 ლეობენი
კაპფენბერგი 4:1 პარნდორფი
შვანენშტადტი 2:2 კერნტენი
ბად აუზეე 1:4 აუსტრია (მ)

### უკრაინა
ვიშა ლიგა. XXVII ტური
დნიპრო 1:0 ჩერნომორეცი

### პოლონეთი
I ლიგა. XXVII ტური
პოლონია 1:1 რუხი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 23 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 25 აპრილი. 16 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

## ამერი 5:0 მგლები

1:0 გოცირიძე (43), 2:0 ელბაქიძე (48), 3:0 დობროვოლსკი (53), 4:0, 5:0 ტატანაშვილი (82, 86)

| ამერი | მგლები |
|---|---|
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (სილაგავა 70), დეკანოსიძე, დავითაშვილი (შალამბერიძე 62), რ. გოცირიძე (ტატანაშვილი 55) | მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, ხუხია, გ. ქირია, დ. ქირია, კრასოვსკი, გ. ექონია (კუჭუხიძე 46), წურწუმია, ზ. ჯანაშია (ქომეთიანი 55), ჭკადუა (ჯიშკარიანი 83) |
| *სათადარიგონი:* ქვაჩახია; მესხი, ჩიმაკაძე, დავითნიძე | *სათადარიგონი:* ჭინათავა; ლიპარტია |
| მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მწვრთნელი: ბესიკ შეროზია |

გაფრთხილება: მემარნიშვილი (24), დეკანოსიძე (70)

მსაჯები: მ. ურუშაძე, ლ. მიქელაძე, გ. ყრუაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

„ყვითელი ტყვიამფრქვევები“: გიორგი ელბაქიძე და დენის დობროვოლსკი

# მგლები ამერის ხახაში
# განწყობა ხუთიანზეა

**კობა ინასარიძე**

**ამ** წინასაალდგომოდ თბილისის „ამერმა“ გუშინდელი მოგებით ჩინებული განწყობა შეიქმნა და ეგებ ეს მუხტი უახლოესი ორი თამაშისთვისაც გაჰყვეს. მომდევნო მატჩების ამერული განრიგი კი ასეთია: 3 მაისი — სტუმრად „ვიტ ჯორჯია“, 7 მაისი — ასევე სტუმრად ბორჯომში, თასზე.

„ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო შანსებს ჯერ კიდევ ინარჩუნებს და ეს ინტრიგაც რომ არა, „ყვითლებთან“ მცხეთელების თამაში ყოველთვის საინტერესო და ძალიან დაძაბული გამოდის ხოლმე. „ბორჯომის“ მწვრთნელი კი იქადნება, სამბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, თასის ფინალში ჩვენ ვითამაშებთ და საპასუხო შეხვედრაში „ამერს“ დიდი ანგარიში დავამარცხებთო.

შეგახსენებთ, რომ „ამერი“ — „ბორჯომის“ პირველი ნახევარფინალური მატჩი 4:1 დამთავრდა.

მოკლედ, თბილისელებს წინ ორი მართლაც მნიშვნელოვანი თამაში აქვთ და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, „მგლების“ დამარცხება, თანაც სოლიდური ანგარიშით, მათთვის ერთი-ორად სასარგებლო უნდა იყოს. ზუგდიდელებს კი ამ სეზონში მხოლოდ პრესტიჟის მატჩები დარჩათ ჩასატარებელი, უმაღლესი ლიგის დებიუტანტები ცხრილის შუაგულში მშვიდად არიან მოკალათებულნი. საამსეზონო საქმე „მგლებმა“ რა ხანია, მოაგვარა — უმაღლესში ადგილი შეინარჩუნა, თასის გათამაშებას კი ნაადრევად ჩამოშორდა. იქნებ მიზანის არქონაც იყო იმის მიზეზი, რომ „მგლები“ თბილისში თანაქალაქელი „ბაიას“ ავტობუსით „ამერთან“ თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ჩამოვიდა, ერთი ამოისუნთქა, მოედანზე გამოვიდა და ვიდრე ჯანზე იყო, მასპინძლებს გოლი არ გაატანინა.

„მგლებმა“ პირველი ტაიმის ბოლომდე გაძლო. მართალია, რევაზ გოცირიძის გოლამდე ზუგდიდელებს სულიკო დავითაშვილი ორჯერ ძალიან სახიფათოდ დაემუქრა — ერთხელ ბურთი ,ხარიხაზე გასრიალდა, მეორედ კი მანუჩარ ივარდავამ იყოჩაღა — მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ სტუმრები თავს ორგანიზებულად იცავდნენ და დავითაშვილის მომენტების გარდა მასპინძლებს საკუთარ კართან ღირებული არაფერი შეაქმნევინეს. გოლი კი გიორგი მემარნიშვილისა და დავით ქირიას, ერთი შეხედვით, ძალიან სახიფათო შეტაკებას მოჰყვა. მემარნიშვილმა იმარჯვა და ბურთი მარჯვენა ფლანგზე გივი დიდავას გადააწოდა, რომელმაც უმალ შენიშნა კარისკენ დაძრული გოცირიძე და, როგორც იტყვიან, ბურთი თავზე დაასვა. ამერელთა მეგოლეს გატანა ალარ გასჭირვებია.

მალევე ტაიმიც მორჩა და შესვენების შემდეგ „მგლებს“ უკვე არაქათი გამოსცლოდა.

თამაში განახლდა და „ამერი“ მეტოქის მოედანს სრულად დაეპატრონა. ზუგდიდელები იქით ნახევარზე თითქმის არც გადასულან. გიორგი ელბაქიძემ კი თავის ამერულ კარიერაში მეორე და ესეც ულამაზესი გოლი გაიტანა. მემარცხენემ ამჯერად მარჯვენა ფეხით დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, რაც მეკარისთვის აუღებელი გამოდგა.

გეტყვით, რომ ელბაქიძემ ასევე ჩინებული დარტყმით, „ბორჯომს“ სათასო მატჩისას გაუტანა.

ამერელთა მარცხენა მცველის ამ გოლსაც განსაკუთრებული ოვაცია მოჰყვა — ორი გოლი და ორივე ერთმანეთზე ლამაზი იყო. ხუთ წუთში კი დენის დობროვოლსკიმაც დააქუხა, მანაც შორიდან დაურტყა ივარდავას და ელბაქიძეზე არანაკლებ ლამაზი გოლი გაიტანა.

მოგვიანებით ლადო ნადირაშვილის წუთიანი ბენეფისის დროც დადგა. ამერელთა მეკარემ ჯერ გიორგი კრასოვსკის ცხრიანში დარტყმულ ბურთს წაატანა ხელი და კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებულზე კი კუჭუხიძის თავურს გადაელობა და, საფეხბურთო ენაზე, აუღებელი ბურთი აიღო. ყოჩაღ ლადოს!

მერე წურწუმიაც დაემუქრა ამერელებს, მაგრამ როცა მისი ეფექტურად დარტყმული ნადირაშვილის კარს მცირედით ასცდა, ანგარიში უკვე 4:0 იყო და გარდა ამისა, „ყვითლებს“ უამრავი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდათ გაცუდებული. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში თბილისელებმა ბარე ხუთი-ექვსი მატჩისთვის საკმარისი მომენტი გაანიავეს — ბურთი მიზანში ვერ მოარტყეს. დიმიტრი ტატანაშვილსაც რამდენჯერმე შეეძლო თავისიანების კიდევ უფრო დაწინაურება, მაგრამ ეს სულ ორჯერ შეძლო. ერთხელ მან ისევ დიდავას ჩაწოდებულს მიაყოლა უნაკლო თავური, მეორედ ივარდავასთან პირისპირ დარჩა და თავისი მონაგარი ორი გოლით გაზარდა...

# ტაშ-ტაშ-ტაშ. ტარამ-ტარამ!
# ყიფშიძეს სიონის კარი არ მოეწონა

**ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან**

**ბოლნისის** „სიონს“ თითქმის განაღდებული აქვს უმაღლეს ლიგაში დარჩენა, რუსთავის „ოლიმპს“ კი ოთხეულში შესვლა სურს.

„ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი ადრე „სიონის“ თავკაცი იყო, გასულ სეზონში ბოლნისს საჩხერის „ჩიხურას“ მთავარი მწვრთნელის რანგში ეწვია და მაშინ ხელმოცარული დარჩა — „სიონმა“ ზემოიმერლებს 2:0 სძლია. ბოლნისში მეორე სტუმრობა კი ქასრაშვილისთვის იღბლიანი გამოდგა.

პირველ ნახევარში მატჩს სიმწვავე აკლდა, ისე კი, ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ.

საწყის 45 წუთში სულ ორი ეპიზოდი ჩავინიშნეთ — 38-ე წუთზე მურმან ქურასბედიანი ჩაერთო შეტევაში და საჯარიმოში ბურთი ზურაბ ავალიანს გადააწოდა, თუმც მის დარტყმას სიძლიერე აკლდა და გიორგი ლომაიასაც აღება არ გასჭირვებია.

გავიდა რამდენიმე წუთი და, ამჯერად ავალიანმა ბურთს 23 მეტრიდან ისეთი გამოსცხო, რომ ლომაიას აღების შანსი არ ჰქონდა — 1:0.

მეორე ტაიმში გუნდებმა გაცილებით მონდომებით ითამაშეს. „ოლიმპს“ გოლები სჭირდებოდა, შეუტია კიდეც და ხუთწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანა — კარიდან 20 მეტრში დანიშნული ჯარიმა მშვენივრად შეასრულა რევაზ გეწაძემ, მან ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო და გიგა იაშვილის კარის ბადეში ააფართხალა, შემდეგ კი დავით დევდარიანმა მარჯვენა ფრთაზე მოძებნა გიორგი კახელიშვილი, რომელმაც ადვილად ჩამოიცილა მიხეილ კობაური და იაშვილს მარცხენა ფეხით ახლო კუთხეში გაუტანა.

სიტუაცია დაიძაბა. ერთ ეპიზოდში „სიონის“ მეკარეების მწვრთნელმა დავით ასლანაძემ არბიტრის გადაწყვეტილება გააპროტესტა — ლევან ფანიაშვილს ირონიული ტაში დაუკრა. მსაჯიც „სიონის“ სათადარიგოთა სკამთან მივიდა და ასლანაძეს ხელით ანიშნა, ტრიბუნაზე აბრძანდიო. ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

„სიონი“ ბევრს ეცადა, გაეთანაბრებინა, მაგრამ მის შეტევებს ფხა აკლდა...

## პრესკონფერენცია

*გიორგი ყიფშიძე:* რა უნდა ვთქვა... ორჯერ დაარტყა „ოლიმპმა“ კარში და ორი გოლი გაგვიტანა. მეკარის შეცდომებით გავიდა ორივე — ჯერ კედელი დააყენა ცუდად, მეორე კი ახლო კუთხეში გაუშვა.

*ხვიჩა ქასრაშვილი:* პირველი ტაიმით ვერ ვიყავი კმაყოფილი, უფრო ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, მაგრამ დღეს იღბალი ჩვენს მხარეს იყო.

ბოლნისი. 25 აპრილი. 16 საათი. თ. სტეფანია. 400 მაყურებელი

## სიონი 1:2 ოლიმპი

1:0 ავალიანი (44), 1:1 გეწაძე (60), 1:2 კახელიშვილი (65)

| სიონი | ოლიმპი |
|---|---|
| სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი (გ. ჭელიძე 81), სვანიძე, ფრიდოლინი, კობაური, ოქროპირიძე (შ. ჯიქია 68), ზ. ჭელიძე, ზ. ავალიანი, სანიკიძე, შავგულიძე (კვიტაიშვილი 70), ჩასემი | ოლიმპი: გ. ლომაია, მგელაძე, მახვილაძე, ორბელაძე, სებისკვერაძე, კახელიშვილი, ჯოჯუა, ხუბუა (გაბედავა 46), დევდარიანი, გეწაძე (ზ. მეტრეველი 78), ომელიანოვი |
| *სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, გ. კეტაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ბ. ნოზაძე | *სათადარიგონი:* შეყრილაძე, რეხვიაშვილი |
| მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე | მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილება: ოქროპირიძე (63), კახელიშვილი (79), ფრიდოლინი (82)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ფიფია, გ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დირექტორი: ო. კორღალიძე

ბორჯომი. 26 აპრილი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

## ბორჯომი — დილა

მსაჯები: კ. ჭაჭუა, ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტიძე, გ. კიკაჩეიშვილი

თბილისი. 26 აპრილი. 16 საათი. მერანი

## მერანი — ლოკომოტივი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, დ. სანოძე, ლ. თოდრია, ლ. სილაგავა

გორი. 26 აპრილი. 16 საათი. ქართლი

## სპარტაკი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ასკაროღლი

# იაშვილი ჩამოვიდა, ჩავიდა და ჩამოვა

## გიორგი შაშიაშვილი: კონტრაქტის გაგრძელებას არ ვჩქარობ

წლეულს ევროპის ჩემპიონატია და ევროპული ქვეყნების უმრავლესობა ადრიანად ამთავრებს საკუთარ პირველობას. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ერთ-ერთი თანამასპინძელი ავსტრიაა, რომელიც დღეს ბოლო ტურს გაათამაშებს. გრაცის „შტურმის“ ქართველ მცველ **გიორგი შაშიაშვილს** შანსი ჰქონდა, იქაური ოქრო დაეჭაშნიკებინა — გუნდი პირველი წრის შემდეგ ლიდერობდა, თუმც მეორე წრე, ფაქტობრივად, ჩააგდო და მხოლოდ მესამე ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებს, თანაც იმდენად მიზერულს, რომ თავად ქართველი ფეხბურთელიც არცთუ იმედიანადაა...

— მეორე წრეში ცუდად ვითამაშეთ და მედლის მოპოვების შანსი თითქმის არ დაგვრჩა. ძნელი წარმოსადგენია, „აუსტრიამ“ ბოლო ტურში შინ წააგოს. ჩვენ კი მოგების შემთხვევაში ინტერტოტოს საგზურს გავინაღდებთ. ჩვენც შინ ვთამაშობთ და შევეცდებით, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ.

— „კერნტენის“ წინააღმდეგ ითამაშებ?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მცირე ტრამვა მაქვს, კუნთი დამეჭიმა. მართალია, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, არ ვიცი.

— კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას ხომ არ აპირებ?

— ჯერ არ ვჩქარობ. კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი არის, თუმც წინ ინტერტოტოს თამაშებია. თუ კარგად ვითამაშე, შესაძლოა, უკეთეს გუნდში აღმოვჩნდე, ამის შესაძლებლობა არის და თავსაც ამის გამო ვიკავებ. თუ არაფერი გამოვიდა, „შტურმში“ დავრჩები.

— გრაცის „შტურმი“ კიდევ ერთი ქართველით, სანდრო იაშვილითაც არის დაინტერესებული. რა სიახლეებია ამასთან დაკავშირებით?

— იაშვილი ჩამოვიდა და გუნდთან ერთად სამჯერ ივარჯიშა. მართალია, თავის მოსაწონებლად ეს ცოტა დროა, მაგრამ მისით უკვე სერიოზულად დაინტერესდა ხელმძღვანელობა.

— და სანდრო იაშვილის „შტურმში“ ჩარიცხვა უკვე გადაწყვეტილია?

— ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდი დაისვენებს და ვარჯიშს 27 მაისს გააგრძელებს. სანდროც იმ დროისთვის ჰყავთ დაბარებული. კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ვესაუბრე — აქ ყველა ღიად ლაპარაკობს და არც დაუმალავთ, რომ იაშვილს უთამაშებლობა ეტყობოდა, მაგრამ ისიც თქვეს, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელია. რომ არ მოსწონებოდათ, არც დაიბარებდნენ. ამათ ფინანსური მხარეც აინტერესებთ, თუ სანდროში დიდ თანხას არ მოითხოვენ, დავიტოვებთო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჟაკ სანტინის ტუნისი მოუმწიფდა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ფრანგ ჟაკ სანტინის ერთ-ერთი ნაკრების მწვრთნელობის ვარიანტიც აქვს და თუ იქ მუშაობა არ ისურვა, მაშინლა იფიქრებს ჩვენი ნაკრების გაწვრთნაზეო.

გეცოდინებათ, ფედერაციის თხოვნით, სანტინის ქართველთა ყოფილი თავკაცის, ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურული ესაუბრა დაახლოებით ერთი კვირის წინ.

და სანტინი არათუ იფიქრებს, უკვე მომწიფებულიც კია მისი ტუნისის ნაკრებში გათავკაცება. „უდაბნოს მელიებს“ ჯერჯერობით სანტინის თანამემამულე როჟე ლემერი წვრთნის, თუმცა გაირკვა, რომ იგი პოსტს მალე დატოვებს.

მოკლედ, მუსიე ჟაკი არც ითვლებოდა საქართველოს ნაკრების მთავარმწვრთნელობის ფავორიტად, ახლა კი მისი დანიშვნა ფაქტობრივად, გამორიცხულია.

აქვე ვთქვათ დანიელ მორტენ ოლსენზეც, რომელიც ნამდვილად ითვლება ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად...

არ არის გამორიცხული, ოლსენი დანიის ნაკრებს მალე ჩამოშორდეს და კიდევ ის შევიტყვეთ, რომ მისით გერმანული „კიოლნია“ (სადაც ფეხბურთელობისასაც უთამაშია და მწვრთნელიც ყოფილა) დაინტერესებული.

**ილია ნანოგაშვილი**

# კვირკველიას გოლი და საკვირველი რუბინი

**ყაზანის** „რუბინის“ გამჩერებელი რუსულ პრემიერლიგაში არ გამოიძებნა — ამჯერად ერთ-ერთ მდევარს, მოსკოვის „დინამოს“ სტუმრად 2:0 მოუგო და 7 ტურის შემდეგ ქულადაუკარგავად ლიდერობს ცხრილს.

ამ მატჩს ლაშა სალუქვაძემ სათადარიგოთა სკამიდან უყურა, ტრავმამოშუშებული ნუკრი რევიშვილი ჯერ არაა ფორმაში და განაცხადშიც არ გახლდათ, ხოლო დავით კვირკველიამ 90 წუთი ითამაშა და ანგარიშიც სწორედ მან გახსნა: „რუბინის“ კუთხურს დინამოელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, მცველებმა ბურთი ძლივს გამოიტანეს და კვირკველიას მიუვიდა, რომელმაც უმძლავრესი დარტყმით გაიტანა. ეს 27-ე წუთზე მოხდა. მეორე ტაიმის შუაში კი დავითს ყვითელი ბარათი უჩვენა მსაჯმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# აბრამიძე-აშვეთია ბავშვთა სახლში

**რუსეთის** პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟის“ ქართველი ლეგიონერები — ვალერი აბრამიძე და მიხეილ აშვეთია, თანაგუნდელებთან და მწვრთნელ იგორ მაკაროვთან ერთად, არასრულწლოვანთა თავშესაფარს ესტუმრნენ.

დელეგაციამ ბავშვები დაასაჩუქრეს, ხოლო აღსაზრდელებმა მათ პატივსაცემად კონცერტი გამართეს.

ფეხბურთელთა სტუმრობამ ბავშვები ძალიან გაახარა და მათგან ხშირი მონახულების პირობაც მიიღეს.

**ძახა შალამბერიძე**

# ვაჟა მერვეზე ავიდა



**მოლდოვური** „შერიფი“ და ვაჟა თარხნიშვილი ზედიზედ მერვედ გახდნენ მოლდოვის ჩემპიონები. ეს გუშინ გაირკვა, როცა „შერიფმა“ სტუმრად 4:0 სძლია „ტილიგულს“ — მოგებულთაგან კაპიტანმა თარხნიშვილმა 90 წუთი ითამაშა, ხოლო ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები არ გამოჩენილან.

36 წლის თარხნიშვილმა მეათე სეზონი ჩაათამაშა „შერიფში“ და რვაგზის ჩემპიონობის გარდა, სხვა არაერთი ტიტულიც მოიპოვა: ოთხოთხჯერ აწია მოლდოვის თასი და სუპერთასი, ერთხელ „თანამეგობრობის თასი“ მოიგო და ერთხელ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ამ სეზონში ვაჟამ „შერიფში“ 25 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

**ილია ნანოგაშვილი**

# იმედაშვილმა ზარია გაბზარა

**დავით იმედაშვილი** კიევის „დინამოს“ დუბლებში დარჩა და დარჩა, ვერც ბერძნულ პაოკ-ში გადასვლა გამოუვიდა და ვერც სხვა უკრაინულ კლუბში.

23 წლის იმედაშვილმა „დინამოსა“ და „ზარიას“ დუბლების მატჩში ანგარიშის გამხსნელი გოლი გაიტანა, კიეველებმა კი თამაში 3:1 მოიგეს...

გადაწყვეტილია, რომ დავით იმედაშვილი ზაფხულშივე დატოვებს უკრაინის საუკეთესო გუნდს, თუმც, როგორც ვიცით, ამ ეტაპზე რეალური წინადადებები არ გააჩნია.

**ილია ნანოგაშვილი**

## უეფას თასი 2007-2008
## ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# თავიანი ბიჭები
## ლუსიოს რიისე დაემართა

**ბაიერნი (გერმანია) 1:1 ზენიტი (რუსეთი)**

1:0 რიბერი (18), 1:1 ლუსიო (60ს.კ.)

**რიბერიმ ვერ გაიტანა პენალტი (18 მეკარე)**

**ბაიერნი:** კანი (რენზინგი 67), ლამი (კროოსი 80), ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, რიბერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი (ლელი 66), კლოზე, პოდოლსკი

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**ზენიტი:** მალაფეევი, რიკსენი, შიროკოვი, კრიფანაცი, შირლი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, ფაიზულინი, ზირიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი

**მწვრთნელი:** დიკ ადვოკაატი

**გაფრთხილება:** რიკსენი (17), ფაიზულინი (28), შირლი (75), არშავინი (79)

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

66 000 მაყურებელი

**რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 ფიორენტინა (იტალია)**

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, ბროდფუტი, ვეირი, პაპაჩი, კულიარი, უიტეკერი, ჰემდანი, დეილი, დევისი, ნოვო (ბუფელი 59), დარშეფილი (კუზენი 59)

**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი

**ფიორენტინა:** ფრეი, იორგენსენი, უიფალუში, გამბერინი, გობი, კუზმანოვიჩი, ლიეტარანი, მონტოლივო, სანტანა, მუტუ, პაცინი (ვიერი 81)

**მწვრთნელი:** ჩეზარე პრანდელი

**გაფრთხილება:** სანტანა (22), გამბერინი (78), გობი (83)

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

49 200 მაყურებელი

**ჩემპიონთა** ლიგის და უეფას თასის ოთხ ნახევარფინალურ მატჩში ოთხი გოლი გავიდა და აქედან ორი (ორივე თავით) — საკუთარ კარში გაიტანეს.

სამშაბათს, „ლივერპული" — „ჩელსის" შეხვედრაში რიისემ „იყოჩაღა", ხუთშაბათს კი მას „ბაიერნის" ლეგიონერმა ლუსიომ მიბაძა.

თუ შევადარებთ, რიისეს გოლი სჯობდა, რადგან დარტყმისას ნორვეგიელი ცხვირპირით ლამის ბალახს შეეხო და შესასრულებლად უფრო რთული იყო.

ხოლო ლუსიოს, რომ იტყვიან, ფაიზულინმა ბურთი თავზე დაასვა, ბრაზილიელებს კი ასეთი მომენტების განიავება არ სჩვევიათ — მცველმა კანს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მოკლედ, „ბაიერნმა" უეფას თასზე შინ ზედიზედ მესამე მატჩი ვერ მოიგო: „ანდერლეხტთან" დამარცხდა, „ხეტაფესთან" და „ზენიტთან" კი ფრე ითამაშა.

ისიცაა, რომ ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა 22 დღეში 7 მატჩი გამართა და ადრე თუ გვიან, დაღლა დაეტყობოდა. ამიტომაც, „ზენიტი" მეორე ტაიმში უფრო საღად გამოიყურებოდა, შესვენებამდე კი მასპინძლებს სამი მომენტი ჰქონდათ.

პენალტი ფერნადო რიკსენის მიერ წესის დარღვევას მოჰყვა — ჰოლანდიელი გაშლილი ფეხით წავიდა ზე რობერტოსკენ.

რიბერის არაერთხელ დაურტყამს კარის შუაში თერთმეტი მეტრიდან და მალაფეევის გაცურებაც ასე მოინდომა, მაგრამ მეკარე არ გადახტა და ბურთი მოიგერია, თუმც ფრანგმა დამატებაზე ივარგა.

შესვენების შემდეგ ორივე კართან ოხრად მომენტი შეიქმნა, მაგრამ მეკარეები ყოჩაღობდნენ. ტრავმირებული ოლივერ კანი რენზინგმა შეცვალა და საქმე მასაც არ აკლდა.

„შედეგით კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები — განაცხადა ჰიცფელდმა — პირველ ტაიმში კაგად ვითამაშეთ, მაგრამ მეორე გოლი ვერ გავიტანეთ. მეორე ნახევარში თამაში აღარ წაგვივიდა და ჩემი ფეხბურთელები მეტოქესთან ერთი-ერთზე ბრძოლას აგებდნენ. „ზენიტი" გაშინაურდა და ძალიან სწრაფი კონტრშეტევებით გვპასუხობდა, რომლებსაც ველარ ვუმკლავდებოდით. ლუსიოს გოლის მერეც შეგვეძლო გატანა, თუმც ერთ ეპიზოდში ჩვენც გავიმართლა, როცა ზე რობერტომ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან „ბაიერნს" მოგება სტუმრადაც შეუძლია".

„დასაწყისში ბიჭები ნერვიულობდნენ და ამიტომაც არაფერი არ გამოგვივიდა — თქვა დიკ ადვოკაატმა — მაგრამ მერე ნელ-ნელა დამშვიდდნენ და ის შედეგი მივიღეთ, რომელიც სრულიად მაკმაყოფილებს. სამწუხარო ისაა, რომ საპასუხო მატჩში არშავინი და რიკსენი დაგვაკლდებიან. მათი სრულფასოვანი შეცვლა არ შეგვიძლია, რადგან „ბაიერნივით" გრძელი სათადარიგოთა სკამი არ გაგვაჩნია".

გლაზგოს „რეინჯერსმა" უეფას თასზე ზედიზედ მეოთხე სასინაო შევედრაში გოლი არ გაუშვა, მომენტები კი „ფიორენტინას" მასპინძლებზე გაცილებით მეტი ჰქონდა.

„საპასუხო მატჩის წინ ისეთივე ვითარებაში ვართ, როგორც მეოთხედფინალში — განაცხადა უოლტერ სმიტმა — მაშინ „სპორტინგს" აქ უგოლოდ დავუზავდით, სტუმრად კი მოვუგეთ. ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც იგივე გამეორდება. ჩემი აზრით, პლეი ოფებში გამარჯვების მეტი შანსი არსებობს, როცა საშინაო მატჩში გოლს არ გაუშვებ".

ჩეზარე პრანდელი: „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კედელს შევასკდებოდეთ. „რეინჯერსი" თავს ძალიან გულმოდგინედ იცავდა, მაგრამ საპასუხო მატჩში ამ კედლის დასანგრევად რამეს მოვიფიქრებთ".

**ვაცა ხუციშვილი**

## ევროპა

### სუპერლიგა
### გადადებული მატჩი

| იანგ ბოისი 0:1 ლუცერნი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 32 | 20 | 6 | 6 | 63:35 | 66 |
| იანგ ბოისი | 32 | 19 | 7 | 6 | 77:43 | 64 |
| ციურიხი | 32 | 13 | 10 | 9 | 55:38 | 49 |
| გრასჰოპერი | 32 | 12 | 9 | 11 | 50:46 | 45 |
| აარაუ | 32 | 10 | 12 | 10 | 43:43 | 42 |
| ლუცერნი | 32 | 9 | 14 | 9 | 35:44 | 41 |
| სიონი | 32 | 9 | 10 | 13 | 40:46 | 37 |
| ქსამაქსი | 32 | 8 | 10 | 14 | 40:49 | 34 |
| სენტ გალენი | 32 | 9 | 5 | 18 | 37:65 | 32 |
| თუნი | 32 | 6 | 7 | 19 | 28:59 | 25 |

## დანია

### სუპერლიგა. XXVI ტური

**ლიუნგბიუ — ბრონდბიუ 2:2; ოდენსე — ვიბორგი 1:0; მიდტიულანდი — ჰორსენსი 1:1; კოპენჰაგენი — ორჰუსი 1:1; ნორდსიელანდი — ესბიერგი 3:2; ოლბორგი — რანდერსი 3:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 26 | 16 | 5 | 5 | 49:33 | 53 |
| მიდტიულანდი | 26 | 13 | 7 | 6 | 37:27 | 46 |
| ოდენსე | 26 | 11 | 12 | 3 | 38:17 | 45 |
| კოპენჰაგენი | 26 | 12 | 9 | 5 | 34:21 | 45 |
| ჰორსენსი | 26 | 11 | 8 | 7 | 36:32 | 41 |
| ნორდსიელანდი | 26 | 10 | 8 | 8 | 39:37 | 38 |
| ესბიერგი | 26 | 10 | 5 | 11 | 48:42 | 35 |
| რანდერსი | 26 | 9 | 7 | 10 | 29:25 | 34 |
| ბრონდბიუ | 26 | 9 | 7 | 10 | 35:36 | 34 |
| ორჰუსი | 26 | 6 | 7 | 13 | 26:36 | 25 |
| ვიბორგი | 26 | 4 | 4 | 18 | 21:53 | 16 |
| ლიუნგბიუ | 26 | 2 | 7 | 17 | 24:57 | 13 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. VII ტური

**კალმარი — ჰელსინგბორგი 4:2; ჰამარბი — ელფსბორგი 0:0; გაის — გეფლე 2:0; მალმიო — ნორჩიოპინგი 2:1; იორეტრო — ჰალმსტადი 0:1; სუნდსვალი — ტრელებორგი 2:2; აიკ — იურგორდენი 1:1; ლიუნგსკილე — გიოტებორგი 2:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 19 |
| მალმიო | 7 | 3 | 4 | 0 | 10:6 | 13 |
| იურგორდენი | 7 | 3 | 4 | 0 | 9:6 | 13 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:5 | 12 |
| ჰალმსტადი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ჰამარბი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:3 | 10 |
| ჰელსინგბორგი | 7 | 2 | 3 | 2 | 13:11 | 9 |
| გაის | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| აიკ | 7 | 2 | 3 | 2 | 4:7 | 9 |
| ლიუნგსკილე | 7 | 3 | 0 | 4 | 6:12 | 9 |
| იორეტრო | 7 | 2 | 2 | 3 | 4:7 | 8 |
| ტრელებორგი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:8 | 6 |
| გეფლე | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 4 |
| სუნდსვალი | 7 | 1 | 1 | 5 | 9:15 | 4 |
| ნორჩიოპინგი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:16 | 2 |

## ამხანაგური მატჩი

**გვატემალა 1:0 ჰაიტი**

# ძამბროტა იუვეში ბრუნდება

**ესპანურ-იტალიური** პრესა ისევ იუწყება, რომ დიდი შანსია, ჯანლუკა ძამბროტა იტალიაში დაბრუნდეს. „ბარსელონას" ტალანტიანი ბრძოლაში თურმე „მილანს" წინააღმდეგობას მისი ყოფილი გუნდი „იუვენტუსი" გაუწევს.

ძამბროტას, რომელიც 2006 წლის დეკემბერში თავისი მშობლიური ქალაქის კლუბის, „კომოს" საპატიო პრეზიდენტი გახდა, თავადაც არაერთხელ აღუნიშნავს, გამორიცხული არ არის, ზაფხულში სამშობლოში დაბრუნდეო.

# რომამ სოროსი დააადასტურა

**იტალიურმა** „რომამ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბის შეძენით მართლაც ჯორჯ სოროსი, უფრო სწორად, მის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანია დაინტერესებული. „იტალპეტროლს", რომელიც „რომას" აქციების 67 პროცენტის მფლობელია, გარკვეული ფინანსური პრობლემები ჰქონია და დიდი შანსია, სარფიან შეთავაზებას დათანხმდეს.

ამბობენ, ახალი ინვესტიციების მიღების შემთხვევაში, „რომა" ფულს ერნან კრესპოს ტრანსფერს მოახმარსო. „ინტერში" არგენტინელი ფორვარდის მდგომარეობა იდეალურისგან შორსაა და „ჯალოროსიში" გადაბარგებაზე უარს არ იტყვისო. მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე მარი პასკუალა რომაელია.

სხვათა შორის, გუნდის კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი კლუბის უცხოელებისთვის მიყიდვას ეწინააღმდეგება — „რომა" რომაელებს უნდა ეკუთვნოდესო.

# მილანს საპატა ისევ აინტერესებს

**გავრცელებული** ინფორმაციით, „მილანმა" „უდინეზეს" მცველ კრისტიან საპატასადმი ინტერესი განაახლა და ზაფხულში 21 წლის კოლუმბიელი სტოპერის შეძენას კვლავ ეცდება.

საპატას „რომა", „ფიორენტინა", „იუვენტუსი", „ინტერი" და „არსენალიც" უტრიალებენ. უდინელთა სპორტული დირექტორი ჯამპაოლო პოცო კი მისი გაყიდვით დაახლოებით 18 მილიონი ევროს მიღებას იმედოვნებს.

# კაფუ: ახალგაზრდა ვარ!

**„მილანის"** 37 წლის მცველი კაფუ ფეხბურთიდან წასვლაზე ჯერჯერობით არ ფიქრობს.

„ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, რას ვიზამ. სეზონის ბოლომდე დაახლოებით ერთი თვეა, ეს კი დიდი დროა. ისე, არა მგონია კარიერის დასრულება გადავწყვიტო. თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა აღარ მაწუხებს და სათამაშოდ მზად ვარ" — თქვა კაფუმ.

# ამაურის გატუზოში გაცვლიან?

**მაშინ,** როცა ყველა იმას ამბობს, პალერმოელი ამაურის „იუვენტუსში" გადასვლა გადაწყვეტილიაო, სიცილიელთა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა, გამორიცხული არაა, ბრაზილიელი „მილანს" ჯენარო გატუზოში გავუცვალოო.

„არ მინდა, „მილანის" სატრანსფერო პოლიტიკაში ჩავერიო და ვაკრიტიკო, მაგრამ როცა კაკა და ალეშანდრე პატო გყავს, არა მგონია, რონალდინიოს შეძენა მართებული იყოს. „როსონერის" ლუკა ტონის, დიდიე დროგბას ან ამაურის დარი ფორვარდი სჭირდება. ჩემი ოცნება კი „პალერმოს" მაისურით გატუზოს ხილვაა" — აღნიშნა ძამპარინიმ.

# იბრაკადაბრა წასვლაზე ფიქრობს

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა,** რომელიც ახლა შვედეთშია და მუხლის ტრავმას იშუშებს, მოულოდნელად აღნიშნა, ინგლისში ან ესპანეთში სიამოვნებით ვითამაშებდიო. ამან „ინტერის" 27 წლის ფეხბურთელის გარშემო მყისვე გაამწვავა მითქმა-მოთქმა.

„იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება უახლოეს წლებში. ინგლისი და ესპანეთი ძალიან მიზიდავს. პრემიერლიგა და პრიმერადივიზიონი ისეთივე მაღალი კლასის ლიგებია, როგორიც სერია A" — თქვა „იბრაკადაბრამ".

ამასობაში, ექიმები შიშობენ, რომ იბრაჰიმოვიჩი ქირურგიული ჩარევის გარეშე ტრავმას ვერ მოიშუშებს და შესაძლოა, ოპერაცია მაინც დასჭირდეს.

# პატოს ოლიმპიადა უნდა

**„მილანის"** 18 წლის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ალეშანდრე პატომ განაცხადა, რომ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე წასვლა და ოქროს მედლის მოპოვება სურს. თუმცა მისი გაშვება-არგაშვების ამბავი „როსონერიმ" უნდა გადაწყვიტოს.

„ოლიმპიადაზე წასვლა მინდა. ბრაზილიის ნაკრების მაისურით ოქროს მედლის მოგება ჩემი ოცნებაა, მაგრამ ეს „მილანზეა" დამოკიდებული. მონავალში კი ჩემი მიზანი „როსონერისთან" ერთად უამრავი ტიტულის მოპოვება და ბრაზილიასთან ერთად მუნდიალის მოგებაა. ასევე მსურს, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გავხდე" — განაცხადა „იხვმა".

**ძოძი ძანდელაძე**

# პეტ ლამპარდი გარდაიცვალა

ფრენკი და პეტი

**ხუთშაბათ** საღამოს ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავს, ფრენკ ლამპარდს დედა გარდაეცვალა. ის პნევმონიასთან ათდღიან ბრძოლაში დამარცხდა. პეტ ლამპარდი 58 წლისა იყო. ბოლო წუთებში მის ირგვლივ ოჯახის წევრები იდგნენ.

საქვეყნოდ არის ცნობილი, რომ 29 წლის ფრენკი დედამისთან განსაკუთრებით ახლოს იყო. იგი მას დღეში სამჯერ ურეკავდა და თავისი ცხოვრების პირველ ნომერს საჯაროდ უწოდებდა. და რად უნდა თქმა, რომ დღეს „ჩელსი“ წლევანდელი პრემიერლიგის უმთავრეს მატჩს თავისი უმთავრესი ნახევარმცველის გარეშე ჩაატარებს. ალბათ, ლამპარდის გარეშე ჩაივლის ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩიც, სადაც „ლურჯები“ „ლივერპულს“ ხვდებიან.

„ახლა ფრენკს ფეხბურზე ფიქრიც კი არ შეუძლია — უთხრა „სანს“ მავანმა ჩელსელმა — მან ამ ცხოვრებაში უდიდესი მხარდამჭერი დაკარგა. დედა ფრენკისთვის მთელს დედამიწას უდრიდა. ის განადგურებულია. ფრენკი ბუნებით ნამდვილი მებრძოლია, მაგრამ თავს თამაში რომ აიძულოს, ზეადამიანური ძალისხმევა დაჭირდება. ბოლო დღეები მან ჯოჯოხეთში გაატარა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლას დრო უნდა“.

პეტ ლამპარდი, გარდა ფრენკ-უმცროსის დედობისა, ფრენკ-უფროსის შეუღლე გახლდათ, უფროსი ფრენკი კი, მოგეხსენებათ, თავის დროზე თავად იყო ინგლისური ფეხბურთის, კერძოდ კი „ვესტ ჰემისა“ და ნაკრების ვარსკვლავი.

და მაინც, პეტისთვის შვილის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ამიტომაც, როდესაც ფრენკი თამაშობდა, ის თითქმის ყოველთვის ტრიბუნაზე იჯდა.

ლემპარდმა დედის ავადმყოფობის გამო „უიგანთან“ და „ევერტონთან“ თამაშები გამოტოვა, თუმცა ამ სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ლივერპულის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ძალ-ღონე მოიკრიბა და მოედანზე გავიდა. ხუთშაბათ საღამოს კი ვარსკვლავის წარმომადგენელმა განაცხადა:

„ფრენკს დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს ავრაამ გრანტსა და „ჩელსის“ მთელ შემადგენლობას, რომელმაც მისი ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ პერიოდში თანადგომა გამოხატა. გარდა ამისა, ლამპარდების ოჯახი დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც მხარი დაუჭირა“.

29 წლის წინ: პეტი, ფრენკი და ფრენკ-უმცროსი

„ჩელსის“ პრესმდივანმა კი ბრძანა: „პეტი აქ აბსოლუტურად ყველას დააკლდება. ის და ფრენკის მამა ყოველ შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალყურს“.

**პაპუნა კედია**

## XXXVI ტური

| | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ლივერპული |
| ჩელსი | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | ფულემი |
| სანდერლენდი | : | მიდლსბრო |
| ტოტენჰემი | : | ბოლტონი |
| ვესტ ჰემი | : | ნიუკასლი |
| უიგანი | : | რედინგი |
| **ხვალ** | | |
| ევერტონი | : | ასტონ ვილა |
| პორსმუთი | : | ბლეკბერნი |
| **ზეგ** | | |
| დერბი | : | არსენალი |

**ფრენკ ლამპარდის** დედა, რომელიც კვირაზე მეტხანს საავადმყოფოში პნევმონიას ებრძოდა, გუშინ გარდაიცვალა.

ცხადია, ლამპარდი დღეს „მანჩესტერთან“ ვერ ითამაშებს და ალბათ „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო შეხვედრასაც გამოტოვებს.

2002 წლის 20 აპრილის შემდეგ „მანჩესტერს“ „სტემფორდ ბრიჯზე“ არ მოუგია. მეტიც, ბოლო ოთხი სტუმრობისას გოლიც კი არ გაუტანია, მაგრამ დღეს მარცხის შემთხვევაშიც კი, პირველ ადგილზე დარჩება ბურთების უკეთესი სხვაობის გამო.

თუმც მხოლოდ „მანჩესტერთან“ კი არა, უკვე ოთხი წელია, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსი“ არავისთან დამარცხებულა და წაუგებელმა საშიანო სერიამ 80 მატჩს უწია.

# ინგლისი

## წააგებს — პირველია, მოიგებს — ჩემპიონია

გარდა ამისა, „ჩელსიმ“ ამ სეზონის პრემიერლიგაში ბოლოს 16 დეკემბერს, „არსენალთან“ წააგო და მას აქეთ ოთხი თვე და 18 ტური მიილია.

თუ „მანჩესტერი“ დღეს ლონდონში მოიგებს და მეტოქის ყველა ზემოხსენებულ სერიას შეწყვეტს, მეთხუთმეტე ჩემპიონობამდე (პრემიერლიგის დაარსებიდან — მეათე) ორი ნაბიჯიღა დარჩება: გამარჯვების შემთხვევაში „ჩელსის“ ექვსი ქულით გაუსწრებს და დარჩენილ ორ ტურში სასაწაული უნდა მოხდეს, რომ ავრაამ გრანტის გუნდმა „მანჩესტერს“ გადაასწროს. საამისოდ „ლურჯებმა“ ორ მატჩში 18 გოლზე მეტი უნდა შეაგდონ, ხოლო „მანჩესტერმა“ ორივე თამაში წააგოს, რაც ზღაპარს უფრო ჰგავს...

„ჩელსის“ ტრავმირებული მხოლოდ მეკარე კარლო კუდიჩინი ჰყავს, „მანჩესტერი“ კი ნემანია ვიდიჩის გამოკეთებას ელის. სერბ მცველს ბარსელონაში მატჩის დღეს კუჭი ასტკივდა, მაგრამ უკვე მოფერიანდა და გუშინ კიდეც ივარჯიშა.

„ლივერპულს“ ქულაღა უნდა მეოთხე ადგილის გასანაღდებლად და თანაქალაქელი „ევერტონის“ მოსაშორებლად, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ეცილებოდა ამ საფეხურს.

რაფაელ ბენიტესის გუნდს ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან“ საპასუხო მატჩი ელის და მწვრთნელი „ბირმინგემთან“ ალბათ ჯერარდს, კარაგერს, ტორესს და კუიტს დაასვენებს.

„ბირმინგემი“ პრემიერლიგაში დარჩენას ლამობს და დღეს სამი ქულა აუცილებლად სჭირდება. მასპინძლებს სებასტიან ლარსონი და ოლივიე კაპო გამოუჯანმრთელდათ, დემიენ ჯონსონი კი დისკვალიფიცირებულია.

„სიტი“ „ფულემს“ უმასპინძლებს, რომელიც ბირმინგემელებზე უარეს დღეშია და ჩემპიონლიგაში გავარდნისგან სასწაული თუ იხსნის.

„სიტიმ“ ზედიზედ ორ ტურში იმარჯვა და ისევ გაუჩნდა ევროპაში გასვლის შანსი. ამდენად, დღევანდელი მატჩი მანჩესტერული გუნდისთვის ამ მხრივაა მნიშვნელოვანი.

დამხვდურებს ტრავმირებული მიკა რიჩარდსი და რიჩარდ დანი დააკლდებიან, „ფულემს“ კი, შესაძლოა, მეკარე ანტი ნიემი დაუბრუნდეს.

წინა ტურში „სანდერლენდის“ ძლევით, „ნიუკასლმა“ ელიტაში ადგილი დაიბევა და მშვიდად ესტუმრება „ვესტ ჰემს“, რომელთანაც 2001 წლის სექტემბრის მერე შინ თუ გარეთ არ დამარცხებულა.

„კაჭკაჭების“ წაუგებელმა პრემიერლიგურმა სერიამ ხუთ მატჩს უწია.

„ჩაქუჩებს“ დაშავებული ჰყავთ ბოიერი, ბელამი, დაიერი, გაბიდონი და ეთერინგტონი. მეტიუ აპსონი და ენტონ ფერდინანდი მსუბუქად ტრავმირებულნი არიან, მაგრამ სადღეისოდ ალბათ გამოკეთდებიან.

საინტერესო თამაში გაიმართება ლივერპულში, სადაც „ევერტონი“ „ასტონ ვილას“ მიიღებს, რომელსაც სამი ქულით უსწრებს. თუ სტუმრები მოიგებენ, მასპინძლებს გადაასწრებენ და უეფას თასის საგზურს თითქმის გაინაღდებენ

აღსანიშნავია, რომ ბირმინგემელებმა ბოლო სამ ტურში 15 გოლი შეაგდეს, თუმც სამჯერვე აუტსაიდერებს შეხვდნენ.

„ევერტონმა“ სეზონის ბოლის უკლო და 9 მარტის შემდეგ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო.

დამხვდურებს ტიმ კეჰილი დააკლდებათ, ლეონ ოსმანის და მიკელ არტეტას თამაში კი საეჭვოა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 2:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 4:0 | 2:0 | 1:2 | 2:0 | | 1:0 | 6:0 | 4:0 | 4:1 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 4:1 | 35 | 25 | 6 | 4 | 73:19 | 81 | 16 | 1 | 1 | 43:6 | 49 | 9 | 5 | 3 | 30:13 | 32 |
| 2 | ჩელსი | | | 2:1 | 0:0 | 1:1 | 4:4 | 1:0 | 6:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | | 1:0 | 3:2 | 0:0 | 6:1 | 35 | 23 | 9 | 3 | 60:24 | 78 | 11 | 6 | 0 | 33:11 | 39 | 12 | 3 | 3 | 27:13 | 39 |
| 3 | არსენალი | 2:2 | 1:0 | | 1:1 | | 1:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 2:1 | 5:0 | 35 | 21 | 11 | 3 | 66:29 | 74 | 13 | 5 | 0 | 36:11 | 44 | 8 | 6 | 3 | 30:18 | 30 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 2:2 | 4:1 | | 3:1 | 4:0 | 2:2 | 3:0 | 1:1 | 3:2 | 3:0 | 4:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 6:0 | 35 | 19 | 12 | 4 | 62:26 | 69 | 11 | 6 | 1 | 42:13 | 39 | 8 | 6 | 3 | 20:13 | 30 |
| 5 | ევერტონი | 0:1 | 0:1 | 1:4 | 1:2 | | | 3:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 2:1 | 2:0 | 7:1 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 1:0 | 35 | 18 | 7 | 10 | 50:29 | 61 | 10 | 3 | 4 | 29:14 | 33 | 8 | 4 | 6 | 21:15 | 28 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:4 | 2:0 | 1:2 | 1:2 | 2:0 | | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 4:1 | | 1:1 | 0:1 | 4:0 | 3:1 | 5:1 | 2:1 | 2:0 | 35 | 16 | 10 | 9 | 67:45 | 58 | 10 | 3 | 5 | 34:20 | 33 | 6 | 7 | 4 | 33:25 | 25 |
| 7 | პორტსმუთი | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 2:0 | | 0:0 | | 0:0 | 0:1 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 3:1 | 7:4 | 4:2 | | 3:1 | 35 | 16 | 9 | 10 | 48:36 | 57 | 7 | 8 | 2 | 24:12 | 29 | 9 | 1 | 8 | 24:24 | 28 |
| 8 | სიტი | 1:0 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 3:1 | | 2:2 | 4:1 | 2:1 | 3:1 | 0:0 | 3:1 | 1:0 | 4:2 | 2:1 | 1:0 | | 1:0 | 35 | 15 | 10 | 10 | 42:41 | 55 | 11 | 4 | 3 | 26:17 | 37 | 4 | 6 | 7 | 16:24 | 18 |
| 9 | ბლეკბერნი | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:4 | 0:1 | 1:0 | | 0:1 | 1:1 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 4:1 | 4:2 | 2:1 | 1:1 | | 35 | 13 | 13 | 9 | 45:43 | 52 | 7 | 7 | 4 | 23:18 | 28 | 6 | 6 | 5 | 22:25 | 24 |
| 10 | ვესტ ჰემი | 2:1 | 0:4 | 0:1 | 1:0 | 0:2 | | 0:1 | 0:2 | 2:1 | | 1:1 | | 1:1 | 3:0 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 35 | 13 | 8 | 14 | 37:42 | 47 | 7 | 5 | 5 | 20:20 | 26 | 6 | 3 | 9 | 17:22 | 21 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:1 | 4:4 | 1:3 | | 1:3 | 4:4 | 2:0 | 2:1 | 1:2 | 4:0 | | 1:4 | 4:0 | 1:1 | 2:0 | | 6:4 | 2:3 | 5:1 | 4:0 | 35 | 10 | 12 | 13 | 64:58 | 42 | 8 | 4 | 5 | 45:31 | 28 | 2 | 8 | 8 | 19:27 | 14 |
| 12 | ნიუკასლი | 1:5 | | 1:1 | 0:3 | 3:2 | 0:0 | 1:4 | 0:2 | 0:1 | 3:1 | 3:1 | | 1:0 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 3:0 | 2:1 | 2:0 | 2:2 | 35 | 11 | 9 | 15 | 42:58 | 42 | 8 | 5 | 5 | 25:24 | 29 | 3 | 4 | 10 | 17:34 | 13 |
| 13 | უიგანი | | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 5:3 | 1:0 | 1:1 | 1:0 | | 1:0 | 3:0 | 1:0 | | 2:0 | 1:1 | 2:0 | 35 | 9 | 9 | 17 | 32:49 | 36 | 8 | 4 | 5 | 21:15 | 28 | 1 | 5 | 12 | 11:34 | 8 |
| 14 | მიდლსბრო | 2:2 | 0:2 | 2:1 | 1:1 | 0:2 | 0:3 | | | 1:2 | 1:2 | 1:1 | 2:2 | 1:0 | | 2:2 | 0:1 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 35 | 8 | 12 | 15 | 31:49 | 36 | 5 | 5 | 7 | 17:22 | 20 | 3 | 7 | 8 | 14:27 | 16 |
| 15 | სანდერლენდი | 0:4 | 0:1 | | 0:2 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 2:0 | | | 3:1 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 35 | 10 | 6 | 19 | 33:54 | 36 | 8 | 3 | 6 | 20:18 | 27 | 2 | 3 | 13 | 13:36 | 9 |
| 16 | ბოლტონი | 1:0 | 0:1 | 2:3 | 1:3 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:3 | 4:1 | 0:0 | | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 1:0 | 35 | 8 | 8 | 19 | 32:52 | 32 | 6 | 5 | 7 | 21:18 | 23 | 2 | 3 | 12 | 11:34 | 9 |
| 17 | რედინგი | 0:2 | 1:2 | 1:3 | 3:1 | 1:0 | 1:2 | 0:2 | 2:0 | 0:0 | 0:3 | | 2:1 | 2:1 | 1:1 | 2:1 | 0:2 | | 2:1 | 0:2 | 1:0 | 35 | 9 | 5 | 21 | 37:65 | 32 | 8 | 2 | 8 | 19:24 | 26 | 1 | 3 | 13 | 18:41 | 6 |
| 18 | ბირმინგემი | 0:1 | 0:1 | 2:2 | | 1:1 | 1:2 | 0:2 | 3:1 | | 0:1 | 4:1 | 1:1 | 3:2 | 3:0 | 2:2 | 1:0 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 35 | 7 | 10 | 18 | 40:57 | 31 | 5 | 7 | 5 | 24:20 | 22 | 2 | 3 | 13 | 16:37 | 9 |
| 19 | ფულემი | 0:3 | 1:2 | 0:3 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 0:2 | 3:3 | 2:2 | 0:1 | 3:3 | 0:1 | 1:1 | 1:2 | 1:3 | 2:1 | 3:1 | | | 0:0 | 35 | 5 | 12 | 18 | 32:58 | 27 | 4 | 5 | 9 | 20:31 | 17 | 1 | 7 | 9 | 12:27 | 10 |
| 20 | დერბი | 0:1 | 0:2 | | 1:2 | 0:2 | 0:6 | 2:2 | 1:1 | 1:2 | 0:5 | 0:3 | 1:0 | 0:1 | 0:1 | 0:0 | 1:1 | | 1:2 | 2:2 | | 35 | 1 | 8 | 26 | 17:76 | 11 | 1 | 5 | 11 | 10:33 | 8 | 0 | 3 | 15 | 7:43 | 3 |

# ბუუს კაცი არ მოუკლავს

**კრიშტიანუ რონალდუმ**

მთელ მსოფლიოს შეუთვალა, რომ „ბუუ-ბიჭებმა“ ხასიათი ვერ გაუფუჭეს და „ოლდ ტრეფორდზე“ „ბარსელონას“ კარში პენალტის დარტყმა თუ დაჭირდება, წარბშეუხრელად დაარტყამს.

„ბუუ-ბიჭები“ ვინც არიან, ალბათ, გასაგებია: აქ საუბარია ფანებზე, რომლებმაც „კამპ ნოუზე“ პენალტის გაფუჭებისთვის რონალდუს საღომო გაუფუჭეს — მოგეხსენებათ, „კამპ ნოუზე“ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი იყო და ამ მატჩის მესამე წუთზე „ბარსას“ კარში, ანუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. რონალდუმ ეს პენალტი, როგორც უკვე ვთქვით, ააცილა, რის გამოც, როგორც ინგლისური პრესა წერს, კატალონიელმა მაყურელებელმა მას გვარიანად დასცინა.

„ობსტრუქციას ნაჩვევი გახლავართ — თქვა 23 წლის პორტუგალიელმა — გასულ სეზონში ინგლისის უკლებლივ ყველა სტადიონზე „ბუუს“ მეძახდნენ. ეგ არაფერი, „ბუუთი“ არავინ მომკვდარა. სამაგიროდ, ბარსელონაში თამაშის საუცხოო გამოცდილება მივიღე. პენალტი ვერ გავიტანე? რა მოხდა მერე, ეს ფეხბურთია და პენალტის ვერგატანა ტრაგედია არ არის, ხდება ხოლმე. თუ პენალტი მანჩესტერშიც დაინიშნა, ეჭვი ნურავის შეეპარება, დავარტყამ და გავიტან. ხან გაიტან, ხანაც გაუშვებ. რაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვთამაშობ, თხუთმეტი თუ თექვსმეტი პენალტი გავიტანე და სამი გავაფუჭე. ამ სეზონში 38 გოლის გამტანმა კაცმა ერთი თუ ავაცილე, მგონი, პრობლემა არ უნდა იყოს. მანჩესტერში, მერწმუნეთ, სულ სხვა თამაში იქნება, რადგან რისკზე წასვლა „ბარსელონასაც“ მოუწევს. ოთხშაბათს ბურთს ისინი ფლობდნენ, მაგრამ უპირატესობა, ვფიქრობ, მაინც ჩვენია“.

აღსანიშნავია, რომ რონალდუს თანაგუნდელები აბსოლუტურად იზიარებენ პორტუგალიელი ვარსკვლავის შეხედულებებს.

ალექს ფერგიუსონის ასისტენტი, კარლუშ კეირუში: „პენალტის აცილებაც თამაშის ნაწილია. ის ბურთთან კარგად მივიდა, მაგრამ არ გაუმართლა. რონალდუ ბუნებით ნამდვილი ჩემპიონია და მინდა, მომავალშიც ისევე ითამაშოს, როგორც პენალტის აცილებამდე თამაშობდა. მან „ბარსელონასთან“ შეხვედრაში დიდი როლი ითამაშა და კრიტიკოსთა გამონათქვამებს საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა რიო ფერდინანდმა კი „ბარსას“ კამერუნელ ფორვარდ სამუელ ეტოოს გადაუხადა დიდი მადლობა, ერთ ეპიზოდში შეეძლო საპენალტედ წაქცეულიყო და არ წაიქცაო.

„ამ ეპიზოდმა ძალიან გამაკვირვა, მითუმეტეს თანამედროვე ფეხბურთში, როდესაც პატარა შესაძლებლობიდან ფეხბურთელები მაქსიმალური სარგებლის გამოწურვას ცდილობენ. ფეხი დამიცდა და მას მივეჯახე. ეტოო რომ წაქცეულიყო, მსაჯი, ალბათ, პენალტს დანიშნავდა, მე კი წითელი ბარათით გამაძევებდა. თამაშის შემდეგ მასთან მივედი და სპორტული სულისთვის მადლობა გადავუხადე. ასეთ საქციელს ხშირად ნამდვილად ვერ ნახავ“.

ხოლო გერმანულმა ლეგენდამ ფრანც ბეკენბაუერმა რა თქვა, იცით? მან ბრძანა, თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორივე ნახევარფინალიდან ინგლისური გუნდი გავა, არნახულ კოშმარს მივიღებთო.

„ფინალში გასვლის ყველაზე კარგი შანსი „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ აქვთ, გავლენ თუ ვერა, მათ ხელშია, ხოლო თუ გავლენ, მოხდება ის, რისაც ყველაზე მეტად გვეშინია. ეს ორი გუნდი ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობს და თუ მათი თამაში კარგი გამოვიდა... მაშინ ბარემ ლონდონში ითამაშონ“.

**პაპუნა კვედია**

აი, ეს ეპიზოდი გაიხსენა რიომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXX ტური

**ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ინტერესტი | : | დორტმუნდი |

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ჰამბურგი | : | შალკე |
| კარლსრუე | : | ვერდერი |
| ჰანოვერი | : | ჰერტა |
| ნიურნბერგი | : | არმინია |
| კოტბუსი | : | ჰანზა |
| ბოხუმი | : | დუისბურგი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | : | ვოლფსბურგი |
| ბაიერნი | : | შტუტგარტი |

# გერმანია
# დარჩა ექვსი

**„ბაიერნს“** ბუნდესლიგაში ორი მატჩი აქვს წაგებული და მათგან ერთი — „შტუტგარტთან“, რომელიც ხვალ ლიდერს მიუნხენში ესტუმრება.

პირველ წრეში არმინ ფეეს გუნდმა ოტმარ ჰიცფელდისას 3:1 მოუგო. მაშინ მასპინძლებმა საუცხოოდ ითამაშეს და სამივე გოლი შესვენებამდე გაიტანეს.

„შტუტგარტი“ ამჟამადაც კარგ ფორმაშია: ბოლო რვა ტურში 17 ქულას მოუყარა თავი და მეცხრედან მეოთხე საფეხურზე დაბრძანდა, მეორე ადგილზე გასვლის და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრის შანსი გაუჩნდა და შეეცდება, რომ მიუნხენიდან ხელცარიელი არ დაბრუნდეს.

ექვსი ქულა — ამდენი უკლია „ბაიერნს“ საიმისოდ, რომ 21-ედ იზეიმოს ჩემპიონობა და ცხადია, მომდევნო ორ ტურში სურს ამ საქმის მოგვარება: ჯერ „შტუტგარტი“ უნდა დაამარცხოს, მერე სტუმრად — „ვოლფსბურგი“ და მდევარი „ვერდერისთვის“ მიუწვდომელი გახდება.

„ზენიტთან“ დაშავებული ოლივერ კანი თუ ვერ გამოკეთდა, კარში მიხაელ რენზინგი ჩადგება, ხოლო ცხვირგატეხილი მიროსლავ კლოზეს ნაცვლად, შეტევაში ლუკა ტონის, ალბათ, ლუკაშ პოდოლსკი დაეხმარება.

„ბაიერნს“ ტრავმის გამო ჰამით ალთინთოფი, „შტუტგარტს“ კი ფერნანდუ მეირა და ტომას ჰიცლშპერგერი დააკლდებიან.

მეორე ადგილს „შტუტგარტის“ გარდა კიდევ რამდენიმე გუნდი ეპოტინება და მათგან ორი — „ჰამბურგი“ და „შალკე“ — დღეს ერთმანეთს შეხვდება

1999 წლიდან ამ გუნდების 18 მატჩიდან მხოლოდ სამი დასრულდა ფრედ და ამჯერადაც უშეღავათო ბრძოლა გაიმართება, რადგან სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზურია.

დროებითი მწვრთნელის, მიხაელ ბიუსკენსის ხელში „შალკემ“ ერთი კვირის წინ „კოტბუსი“ 5:0 დაამარცხა. ახლა ბიუსკენსს უფრო რთული გამოცდა ელის, რადგან „ჰამბურგს“ უკვე ხუთი ტურია, არ მოუგია და გამარჯვებას მოწყურებულია.

ჰამბურგელთა საქმე უკან-უკან მას შემდეგ წავიდა, რაც 22 მარტს, „ვოლფსბურგთან“ მატჰაისენი და კომპანი გაუძევეს. მომდევნო მატჩში „არმინიასთან“ იაროლიმიც გააგდეს, წინა ტურში კი დისკვალიფიკაციის გამო ვან დერ ვაარტიც არ ჰყავდათ.

მატჰაისენი, კომპანი და ვან დერ ვაარტი დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, იაროლიმს კი ერთი მატჩიღა დარჩა მოსახდელი. ტრავმირებულნი არიან სორინი და კასტელენი.

გელზენკირხენის „შალკეს“ კრისტიან პანდერი, ზე რობერტუ, გუსტავო ვარელა და ზლატან ბაირამოვიჩი ჰყავს დაშავებული.

აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგს“ ზედიზედ სამ შეხვედრაში გოლი არ გაუტანია.

„ლევერკუზენს“ 16 თებერვლის შემდეგ ფრე არ უთამაშია და ცხრიდან ხუთ მატჩში დამარცხდა. გუნდს ჯერაც აქვს სამეულში მოხვედრის შანსი და ხვალ სამი ქულის აღებას „ვოლფსბურგთან“ შეეცდება, რომელმაც ბოლო ორ ტურში წააგო. „მგლების“ ფორვარდმა გრაფიტემ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითად შემადგენლობაში იქნება, მასპინძლებს კი ტრავმირებული შნაიდერი დააკლდებათ.

„ვერდერს“ კარლსრუეში 1997 წლის შემდეგ არ უთამაშია, რადგან ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში ბრძანდებოდა და „მუსიკოსები“ თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ ესტუმრებიან „ვილკპარკშტადიონს“.

„კარლსრუეს“ მიჯრით ექვს ტურში არ მოეგო და ნავსი ერთი კვირის წინ, დუისბურგში გამარჯვებით გატეხა.

„ვერდერმა“ ბოლო სამ მატჩში ცხრა ქულა მოაგროვა და ამდენივე გოლი შეაგდო.

სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო აარონ ჰუნტი დააკლდებათ, ფრანკ ბაუმანი კი ტრავმირებულია, ხოლო მასპინძლებს ავსტრალიელი მეგოლე ჯოშუა კენედი ვერ დაეხმარება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 2:1 | 2:1 | 0:0 | 3:0 | 2:0 | 3:1 | | 5:0 | 5:0 | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 29 | 18 | 9 | 2 | 55:17 | 63 | 9 | 5 | 0 | 31:6 | 32 | 9 | 4 | 2 | 24:11 | 31 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 5:1 | 2:1 | 4:1 | 5:2 | 0:1 | 2:1 | | 4:0 | 1:2 | 3:2 | 2:0 | | 8:1 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 29 | 16 | 5 | 8 | 62:41 | 53 | 11 | 0 | 4 | 40:18 | 33 | 5 | 5 | 4 | 22:23 | 20 |
| 3 | შალკე | 0:1 | 1:1 | | 1:1 | 4:1 | 1:1 | 1:2 | | | 0:2 | 1:0 | 1:0 | 4:1 | 5:0 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 2:1 | 29 | 14 | 9 | 6 | 47:31 | 51 | 9 | 3 | 3 | 27:12 | 30 | 5 | 6 | 3 | 20:19 | 21 |
| 17:00 | 422 | კოლდინგი-ჰერფიოლგე | 2.40 | 3.50 | 2.50 | 1.42 | 1.22 | 1.45 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 424 | რუსენბორგი-ტრომსიო | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 425 | ბოდიო გლიმტი-ალესუნდი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 20:00 | 426 | ჰამ კამი-სტაბეკი | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 22:00 | 428 | ბრანი-ლილესტრიომ | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 20:00 | 429 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 20:00 | 430 | მოლდე-სტრიომსგოდსეტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 427 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 436 | ჰიონეფოსი-ბრინი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 431 | ნიბერგსუნდი-სანდეფიორდი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| 20:00 | 432 | ალტა-ჰაუგესუნდი | 3.20 | 3.65 | 1.90 | 1.70 | 1.19 | 1.24 |
| 20:00 | 433 | ჰიოდი-ლოვ ჰამი | 2.00 | 3.40 | 3.15 | 1.25 | 1.22 | 1.63 |
| 20:00 | 435 | ნოტოდენი-სანდნესი | 2.00 | 3.40 | 3.15 | 1.25 | 1.22 | 1.63 |
| 20:00 | 437 | სპარტა ს-სტარტი | 4.15 | 3.65 | 1.65 | 1.94 | 1.18 | 1.13 |
| 20:00 | 438 | კონგსვინგერი-ოდ გრენლანდი | 4.90 | 3.65 | 1.55 | 2.09 | 1.17 | 1.08 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 451 | ელფსბორგი-კალმარი | 2.30 | 3.25 | 2.80 | 1.34 | 1.26 | 1.50 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 19:45 | 452 | გეფლე-აიკ | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 17:00 | 453 | ჰალმსტადი-გაის | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 17:00 | 454 | ტრელებორგი-ჰამარბი | 2.70 | 3.25 | 2.35 | 1.47 | 1.25 | 1.36 |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 455 | იურგორდენი-ლიუნგსკილე | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 21:00 | 456 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 21:00 | 457 | ნორჩიოპინგი-იორებრო | 2.15 | 3.25 | 3.00 | 1.29 | 1.25 | 1.55 |
| 22:00 | 458 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 2.20 | 3.25 | 2.90 | 1.31 | 1.25 | 1.53 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 103 | ინტერი-როვანიემი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 19:30 | 104 | კუოპიო-ტურკუ | 4.60 | 3.40 | 1.70 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| 19:30 | 469 | ჰონკა-მიუპა | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:30 | 470 | კტპ-ლაჰტი | 4.10 | 3.20 | 1.80 | 1.79 | 1.25 | 1.15 |
| 19:30 | 471 | ტამპერე-იარო | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| 19:30 | 472 | ვპს-ჰაკა | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 473 | მარიეჰამნი-ჰიკ | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 474 | შემროკი-სტ.პატრიკსი | 3.00 | 3.00 | 2.30 | 1.50 | 1.30 | 1.30 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 480 | კავასაკი-კაშივა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 08:00 | 481 | შიმიცუ-ტოკიო | 2.10 | 3.35 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.55 |
| 08:30 | 482 | საპორო-ნიიგატა | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 09:00 | 483 | ვერდი-ნაგოია | 3.70 | 3.35 | 1.85 | 1.75 | 1.23 | 1.19 |
| 09:00 | 484 | ოიტა-იოკოჰამა ფმ | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 11:00 | 485 | კიოტო-ურავა | 3.80 | 3.35 | 1.80 | 1.78 | 1.22 | 1.17 |
| 14:00 | 486 | იჩიპარა-ივატა | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 11:00 | 487 | ომია-კაშიმა | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 11:00 | 488 | კობე-გამბა | 3.70 | 3.40 | 1.80 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 491 | ვაშინგტონი-სოლტ ლეიკი | 1.75 | 3.35 | 4.15 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 23:45 | 492 | ჩიკაგო-კოლორადო | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:45 | 493 | ლოს ანჯელესი-ჩივასი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:30 | 494 | ტორონტო-კანზასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 495 | კოლამბუსი-პიუსტონი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 497 | ატლანტე-მონტერეი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 498 | პაჩუკა-ხაგუარესი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 500 | კრუს ასული-მორელია | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 23:45 | 501 | სან ლუისი-ატლასი | 1.60 | 3.40 | 4.75 | 1.08 | 1.19 | 1.98 |
| 23:45 | 504 | ტიგრესი-სანტოსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 505 | ჩივასი-პუებლა | 1.57 | 3.40 | 5.50 | 1.07 | 1.22 | 2.10 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 499 | ტოლუკა-ტეკოსი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 503 | ნეკასა-ამერიკა | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 23:15 | 506 | ოლიმპო-კოლონი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 507 | ხიმნასია ჟ-ინდეპენდიენტე | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:45 | 513 | არსენალი-სან მარტინი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 23:45 | 515 | ნიუელზი-ხიმნასია ლპ | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 21:10 | 509 | რივერ პლეიტი-არგენტინოს ხუნიორსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:20 | 511 | სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **შერეული** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 91 | მეტალურგი ზ-არსენალი(უკრ) | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:00 | 122 | ვიდეოტონი-პაკსი(უნგ) | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 17:00 | 123 | რაბა ეტო-კაპოშვარი(უნგ) | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 18:30 | 124 | ბუდუჩნოსტი-ოფკ(სერ) | 2.25 | 2.90 | 2.90 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| 16:00 | 126 | ხარკოვი-ვორსკლა(უკრ) | 2.15 | 2.80 | 3.20 | 1.21 | 1.28 | 1.49 |
| 18:30 | 135 | ჟელეზნიჩარი-მოდრიცა(ბოს) | 1.40 | 4.30 | 5.50 | 1.05 | 1.11 | 2.41 |
| 18:30 | 136 | ზრინსკი-ჩელიკი(ბოს) | 1.25 | 4.60 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.92 |
| 18:00 | 141 | რუდარი-ბუდუჩნოსტი(ჩერნ) | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 142 | კოლერეინი-დანგანონი(ჩრ ირ) | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| 18:00 | 143 | კრუსადერსი-ლინფილდი(ჩრ ირ) | 6.30 | 4.00 | 1.35 | 2.44 | 1.11 | 1.00 |
| 18:00 | 144 | გლენტორანი-პორტადუნი | 1.40 | 4.00 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.43 |
| 18:00 | 145 | ნეარი-ბელიმენა(ჩრ ირ) | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| 18:00 | 146 | უნივერსიტარია კრ-სტიაუა(რუმ) | 4.80 | 3.30 | 1.55 | 1.95 | 1.17 | 1.05 |
| 21:30 | 147 | რაპიდი-დინამო (რუმ) | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 18:30 | 148 | ჩუკარიჩი-პარტიზანი(სერ) | 6.70 | 3.80 | 1.35 | 2.42 | 1.12 | 1.00 |
| 18:30 | 149 | ბორაცი-ცრვენა ზვეზდა(სერ) | 5.70 | 3.50 | 1.40 | 2.16 | 1.12 | 1.00 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 121 | ჰონვედი-მტკ(უნგ) | 2.75 | 3.00 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 19:30 | 140 | ვეტრა-სუდუვა(ლიტ) | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 82 | ფეიენოორდი-როდა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 550 | ვ.ბოლონია-რომა | 2.40 | 12.00 | 1.55 | 2.00 | 1.00 | 1.37 |
| 20:00 | 551 | ნაპოლი-ბიელა | 1.55 | 12.00 | 2.40 | 1.37 | 1.00 | 2.00 |
| 20:00 | 552 | რიეტი-კანტუ | 2.20 | 12.00 | 1.65 | 1.85 | 1.00 | 1.45 |
| 20:00 | 553 | ვარეზე-სკავატი | 1.30 | 12.00 | 3.30 | 1.17 | 1.00 | 2.58 |
| 20:00 | 554 | მონტეგრანარო-უდინე | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 20:00 | 555 | მილანი-ბოლონია | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |
| 20:00 | 556 | სიენა-ორლანდო | 1.05 | 12.00 | 6.95 | 1.00 | 1.00 | 4.40 |
| 20:00 | 557 | ბენეტონი-ტერამო | 1.25 | 12.00 | 3.55 | 1.13 | 1.00 | 2.73 |
| 20:00 | 558 | სკავოლინი-აველინო | 1.65 | 12.00 | 2.20 | 1.45 | 1.00 | 1.85 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 560 | გრანადა-ესტუდიანტესი | 1.50 | 12.00 | 2.50 | 1.33 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 561 | ფუენლაბრადა-ვალიადოლიდი | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| 21:30 | 562 | ტაუ-სან ფერნანდო | 1.05 | 12.00 | 6.95 | 1.00 | 1.00 | 4.40 |
| 22:00 | 566 | რეალი-ბარსელონა | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 14:30 | 559 | ბილბაო-მანრესა | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 14:30 | 563 | უნიკახა-ხუვენტუდი | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |
| 14:30 | 564 | ლეონი-მენორკა | 1.80 | 12.00 | 2.00 | 1.56 | 1.00 | 1.71 |
| 15:00 | 565 | აუნკაბლე-ხიერონა | 1.70 | 12.00 | 2.10 | 1.48 | 1.00 | 1.78 |
| 14:30 | 567 | მურსია-ვალენსია | 2.40 | 12.00 | 1.50 | 2.00 | 1.00 | 1.33 |
| | | **კალათბურთი საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 640 | პარი ლევალუა-ლე მანი | 2.40 | 12.00 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.25 |
| 22:00 | 641 | კლერმანი-როანი | 3.20 | 12.00 | 1.20 | 2.52 | 1.00 | 1.09 |
| 22:00 | 642 | ვიში-შოლე | 1.40 | 12.00 | 2.40 | 1.25 | 1.00 | 2.00 |
| 22:00 | 643 | ტულონი-გრაველინი | 1.45 | 12.00 | 2.40 | 1.29 | 1.00 | 2.00 |
| 22:00 | 644 | დიჟონი-ორტეზი | 1.45 | 12.00 | 2.40 | 1.29 | 1.00 | 2.00 |
| 22:00 | 645 | სტრასბური-ორლეანი | 1.25 | 12.00 | 3.20 | 1.13 | 1.00 | 2.52 |
| 22:00 | 646 | შალონი -ლე ავრი | 1.45 | 12.00 | 2.40 | 1.29 | 1.00 | 2.00 |
| | | **კალათბურთი გერმანია** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 631 | ლევერკუზენი-ერტლანდი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 21:30 | 632 | ბონი-კიოლნი | 1.25 | 12.00 | 3.20 | 1.13 | 1.00 | 2.52 |
| 21:30 | 633 | პადერბორნი-აისბარენი | 2.30 | 12.00 | 1.45 | 1.93 | 1.00 | 1.29 |
| 21:30 | 634 | ლუდვიგსბურგი-ესენი | 1.10 | 12.00 | 4.60 | 1.00 | 1.00 | 3.32 |
| 21:30 | 635 | გეტინგენი-ბრაუნშვაიგი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:00 | 636 | ტიუბინგენი-ალბა ბერლინი | 3.20 | 12.00 | 1.25 | 2.52 | 1.00 | 1.13 |
| | | **ხელბურთი. კაცები. ავსტრიის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 600 | ბრეგენცი-ფივერზი | 1.20 | 10.00 | 5.20 | 1.07 | 1.00 | 3.42 |
| 21:00 | 601 | ინსბრუკი-შვაცი | 1.60 | 9.00 | 2.60 | 1.35 | 1.00 | 2.01 |
| 21:00 | 602 | კრემზი-ალფა გარდი | 1.90 | 8.80 | 2.05 | 1.56 | 1.00 | 1.66 |
| | | **ხელბურთი. კაცები. გერმანიის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 605 | გროსვალშტადტი-ფლენსბურგი | 5.60 | 12.00 | 1.17 | 3.81 | 1.00 | 1.06 |
| 17:00 | 606 | ნორდჰორნი-ესენი | 1.02 | 13.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 6.74 |
| 17:00 | 607 | ლიუბეკი-რეინ ნეკარი | 6.10 | 12.00 | 1.15 | 4.04 | 1.00 | 1.04 |
| 19:00 | 608 | მელსუნგენი-ვილჰელმსჰავანერი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| 21:00 | 609 | კეპინგენი-ბალინგენი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 610 | ლემგო-ჰამბურგი | 2.30 | 8.30 | 1.75 | 1.80 | 1.00 | 1.44 |
| 19:00 | 611 | ბერლინი-კილი | 12.00 | 13.00 | 1.03 | 6.23 | 1.00 | 1.00 |
| | | **ხელბურთი. კაცები. ესპანეთის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 612 | ალმერია-სიუდად ლოგრონესი | 1.60 | 8.80 | 2.60 | 1.35 | 1.00 | 2.00 |
| 21:00 | 614 | კანტაბრია-გრანოლერსი | 1.60 | 8.50 | 2.60 | 1.34 | 1.00 | 1.99 |
| 21:00 | 615 | ბარსელონა-ალგესირასი | 1.01 | 12.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.23 |
| 20:30 | 616 | ადემარი-არაგონი | 1.20 | 11.00 | 5.20 | 1.08 | 1.00 | 3.53 |
| 20:30 | 617 | ტორევეგა-ტეუკრო | 1.45 | 9.30 | 3.05 | 1.25 | 1.00 | 2.29 |
| 20:30 | 618 | ანტეკერა-ვალიადოლიდი | 1.95 | 8.00 | 2.00 | 1.56 | 1.00 | 1.60 |
| 20:00 | 619 | ოკტავიო-არატე | 1.80 | 8.30 | 2.20 | 1.47 | 1.00 | 1.73 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 613 | სან ანტონიო-სიუდად რეალი | 2.00 | 8.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.53 |
| | | **ხელბურთი. კაცები. დანიის ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 16:20 | 620 | სილკებორგი-ფსკ | 1.90 | 8.00 | 2.10 | 1.53 | 1.00 | 1.66 |
| 18:00 | 621 | სვენდბორგი-ორჰუსი | 1.25 | 12.00 | 4.20 | 1.13 | 1.00 | 3.11 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10006 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10007 | უიგანი-რედინგი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10008 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10010 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10011 | დერბი-არსენალი | 9.00 | 2.70 | 1.40 | 2.07 | 1.21 | 1.00 |
| 10013 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10014 | სიტი-ფულემი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10015 | პორტსმუთი-ბლეკბერნი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10016 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10017 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10018 | პლიმუთი-ბლეკპული | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10019 | პრესტონი-იფსვიჩი | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10020 | შეფილდი-ბრისტოლი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10021 | უოტფორდი-სანთორპი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10022 | ბარნსლი-ჩარლტონი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10023 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10024 | ბარნლი-კარდიფი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10025 | კოლჩესტერი-სტოკი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10026 | ქოვენთრი-ვულვერჰემპტონი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10027 | ჰალი-კრისტალ პალასი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10028 | ლესტერი-უენსდი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10029 | ნორვიჩი-ქპრ | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10107 | მოზერუელი-დანდი იუნაიტედი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10108 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10109 | ჰართსი-ინვერნესი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10110 | კილმარნოკი-გრეტნა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10111 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10112 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10129 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10130 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10131 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10132 | რანდერსი-ორჰუსი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10133 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10134 | ოლბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10165 | ჰამბურგი-შალკე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10166 | კარლსრუე-ვერდერი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10168 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10169 | ნიურნბერგი-არმინია | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10170 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10171 | კოტბუსი -ჰანზა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10172 | ბოხუმი-დუისბურგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10173 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10175 | ფრაიბურგი-ფიურტი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10176 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860 | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10179 | ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10180 | ვეენი-ოფენბახი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10181 | აუგსბურგი-ზტ.პაული | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10182 | ოსნაბრიუკი-მაინცი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10201 | ალტახი-ზალცბურგი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10203 | აუსტრია-ტიროლი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10204 | მატერსბურგი-ლინცერი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10205 | შტურმი-აუსტრია კერნტენი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10206 | რიდი-რაპიდი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10217 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10218 | აარაუ-ბაზელი | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10230 | პალერმო-ატალანტა | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10231 | ინტერი-კალიარი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10233 | უდინეზე-კატანია | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10234 | ჯენოა-ემპოლი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10235 | იუვენტუსი-ლაციო | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10237 | ლივორნო-მილანი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10239 | რეჯინა-პარმა | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10240 | ფიორენტინა-სამპდორია | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10241 | ნაპოლი-სიენა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10243 | რავენა-ლეჩე | 4.25 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.44 | 1.04 |
| 10246 | ვიჩენცა-რიმინი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10247 | ბრეშა-ტრევიზო | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10248 | ჩეზენა-ტრიესტინა | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10249 | მანტოვა-ასკოლი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10250 | სპეცია-აველინო | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10251 | ალბინოლეფე-ბოლონია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10272 | ვალიადოლიდი-ალმერია | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10273 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10274 | ხეტაფე-ატლეტიკო | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10275 | უელვა-ლევანტე | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10277 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10278 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10279 | ვალენსია-ოსასუნა | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10280 | რეალი-ბილბაო | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10282 | მალიორკა-რასინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10283 | მურსია-სევილია | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10284 | ტარაგონა-სელტა | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10285 | ჰერკულესი-ეიბარი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10286 | კასტელონი-ეხიდო | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10287 | კორდობა-ლას პალმასი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10288 | ალავესი-ელჩე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10289 | სალამანკა-სერესი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10290 | ტენერიფე-ალბასეტე | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10291 | გრანადა -ნუმანსია | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10292 | კადისი-სპორტინგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10293 | სევილია ბ-ფეროლი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10294 | მალაგა -სოსიედადი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10295 | პსჟ-ოსერი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10296 | ლიონი-კაენი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10298 | ლე მანი-ლანსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10299 | სოშო-ლორიანი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10300 | მონაკო-მარსელი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10302 | ვალენსიენი-ნანსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10303 | ბორდო-ნიცა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10304 | მეცი-სტ.ეტიენი | 4.70 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10305 | რენი-სტრასბური | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10306 | ლილი-ტულუზი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10317 | გრენობლი-აიაჩო | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10318 | შარლერუა-სტანდარდი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10319 | ბრიუგე-რუზელარე | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10320 | დენდერი-ვარეგემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10321 | გენკი-ბრიუსელი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10323 | მეხელენი-ვესტერლო | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10324 | მუსკრონი-სერკლი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10325 | მონსი-ბეერსხოტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10326 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10342 | გიმარაეში-პორტუ | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10343 | ნასიონალი-აკადემიკა | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10344 | ნავალი-ბოავიშტა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10346 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10347 | ლეირია-ლეიშოეში | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10348 | სეტუბალი-ამადორა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10349 | ბენფიკა-ბელენენსეში | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10360 | ხიმკი-კრილია | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10361 | ამკარი-შინიკი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10362 | ენერგია-ცსკა | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10375 | გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10376 | ანკარა-ოფთასპორი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10377 | გენჩლერბირლიგი-სტანბული | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10378 | მანისა-კონია | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10379 | კასიმპასა-ანკარაგიუჯიუ | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10380 | დენიზლი-სივასპორი | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10381 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10382 | ბეშიქთაში-ბურსა ნ | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10424 | რუსენბორგი-ტრომსიო | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10425 | ბოდიო გლიმტი-ალესუნდი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10426 | ჰამ კამი-სტაბეკი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10427 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10428 | ბრანი-ლილესტრიომი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10429 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10430 | მოლდე-სტრიომსგოდსეტი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10451 | ელფსბორგი-კალმარი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10452 | გეფლე-აიკ | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10453 | ჰალმსტადი-გაის | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10454 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10455 | იურგორდენი-ლიუნგსკილე | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10456 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10457 | ნორჩიოპინგი-იორებრო | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10458 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |

## რადიო „ჯაკოს“ გამოკითხვა. სუპერლიგის 2007-08 წლების რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე

# ჯაკოს რჩეული შერმადინია

**დასრულდა** სპორტული რადიო „ჯაკოს“ გამოკითხვა, რომელმაც სუპერლიგის 2007-08 წლების რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გამოავლინა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ოცმა რესპოდენტმა, რომელთა შორისაც იყვნენ სუპერლიგის ექვსივე გუნდის მთავარი მწვრთნელები, თითო მოთამაშე და მასმედიის წარმომადგენლები.

როგორც მოსალოდნელი იყო, აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა „მაკაბისა“ და საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი შერმადინმა, რომელიც მანამდე რადიო „ჯაკოს“ ვერსიით ჩატარებული გამოკითხვით 2007 წლის საუკეთესო მოთამაშედ, მოგვიანებით კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვით, სუპერლიგის პირველი ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. შერმადინი ამ ეტაპზე ლას ვეგასშია, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეებთან ერთად NBA-ს დრაფტისთვის ემზადება.

პირველ ადგილზე გასულს ენიჭებოდა 3 ქულა, მეორეს — 2 ქულა, მესამეს — 1 ქულა.

### თბილავიამშენი

ლევან მოსეშვილი (მთავარი მწვრთნელი): 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი); 2. კოტე ტულუში (თბილავიამშენი); 3. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი)

კოტე ტულუში: 1. შერმადინი; 2. გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი); 3. იოვან სტეფანოვი (ენერჯი ინვესტი)

### თსუ

ნუგზარ ჭეიშვილი (მთავარი მწვრთნელი): 1. შერმადინი; 2. გამყრელიძე; 3. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ-ავიამშენი)

დავით ბარბაქაძე: 1. შერმადინი; 2. ნიკოლაძე; 3. ფანჩულიძე (თსუ)

### დინამო

ზაზა ცაგარეიშვილი (მთავარი მწვრთნელი): 1. შერმადინი; 2. ვიქტორ სანიკიძე (დინამო); 3. გამყრელიძე

არჩილ ჟღენტი: 1. შერმადინი; 2. ნიკოლაძე; 3. გამყრელიძე

### მაკაბი

ჯამლეტ ხუხაშვილი (მთავარი მწვრთნელი): 1. შერმადინი; 2. სანიკიძე; 3. ტულუში

სოსო შერმადინი: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. სანიკიძე

### ვითა

ზურაბ ტომარაძე (მთავარი მწვრთნელი): 1. შერმადინი; 2. გამყრელიძე; 3. მიხელ ბერიშვილი (ვითა)

ვლადიმერ ბეჟანიშვილი: 1. ტულუში; 2. მ. ბერიშვილი; 3. გიორგი მარხვაშვილი (ვითა)

### ენერჯი ინვესტი

დავით უსტიაშვილი (მთავარი მწვრთნელი): 1. გამყრელიძე; 2. შერმადინი; 3. სანიკიძე

რამაზ გოგობერიშვილი: 1. შერმადინი; 2. გამყრელიძე; 3. ტულუში

### რადიო „ჯაკო“

მერაბ მამალაშვილი: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. გამყრელიძე

### ლელო

ვაჟა სიმონიშვილი: 1. შერმადინი; 2. დავით ბარბაქაძე (თსუ); 3. ნიკოლაძე

ზურაბ თალაკვაძე: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. გამყრელიძე

### სარბიელი

ირაკლი პერტაია: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3 სანიკიძე

### ოლიმპი

დავით ჭელიძე: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. მ. ბერიშვილი

### საქართველოს რესპუბლიკა

გია პლატონიშვილი: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. გამყრელიძე

### I არხი

დავით მინაშვილი: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. გამყრელიძე

### I რადიო

ელენე ბილიხოძე: 1. შერმადინი; 2. ტულუში; 3. გამყრელიძე

### გამოკითხვის საბოლოო შედეგები

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) — 56 ქულა
2. კოტე ტულუში (თბილავიამშენი) — 23
3. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი) — 17
4. ვიქტორ სანიკიძე (დინამო) — 7
5. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) — 4
6. დავით ბარბაქაძე (თბილავიამშენი-თსუ) — 2
7. გიორგი მარხვაშვილი (ვითა) — 1
8. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) — 1
9. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ-თბილავიაპმშენი) — 1
10. იოვან სტეფანოვი (ენერჯი ინვესტი) — 1

## NBA პლეი ოფი. პირველი წრე

# გადაპრანჭულო, სად ხარ?

## დეშონ სტივენსონმა ლებრონიანები ჩააჩუმა

24 აპრილი

### აღმოსავლეთი

*სერიას კლივლენდი იგებს 2:1*

**ვაშინგტონი 108:72 კლივლენდი**

**ვაშინგტონი: სტივენსონი (19), მეისონი (19), ბატლერი (17), ჯემისონი (15), ჰეივუდი (14)**

**კლივლენდი: ჯეიმსი (22), ბრაუნი (10)**

სანამ სერია კლივლენდში თამაშდებოდა, ვაშინგტონელები ძირითადად წინასამატჩო კომენტარებში ცდილობდნენ ლებრონ ჯეიმსის წყობიდან გამოყვანას. ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და ამავე დროს ყველაზე კარგად გარეკლამებულ ვარსკვლავ ლებრონ ჯეიმსს პერსონალურ მეურვედ ყიამყრალი და მოხულიგნო დეშონ სტივენსონი დაუნიშნეს, ვინაც შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ლებრონი გაეთათხა და ერთხელ მას „გადაპრანჭული“ უწოდა. ლებრონი მას არ აყოლია საეთერო ბრძოლაში, ცდილობდა პასუხი მოედანზე გაეცა და აკი „კლივლენდმა“ ორი თამაში მოუგო „ვაშინგტონს“, რომლებშიც ჯეიმსმა 62 ქულა, 16 პასი და 15 მოხსნა გააკეთა.

ეს ყველაფერი კლივლენდში ხდებოდა, მაგრამ აი სერია ვაშინგტონში გაგრძელდა, სადაც სტივენსონს ათეულობით ათასი დამხმარე გამოუჩნდა და სიტუაციაც მისი გუნდის სასარგებლოდ შეიცვალა. დედაქალაქელები მთელი შეხვედრის განმავლობაში თავს დასჩხაოდნენ „გადაპრანჭულო-გადაპრანჭულოო“ და შედეგად, საშუალოდ 30 ქულის მშობელმა ჯეიმსმა ახლა მხოლოდ 22 გაახერხა, მისმა მეურვე სტივენსონმა კი — ვისაც 10 ქულა ხან უგროვდება ხან არა — ახლა 19 დაახვავა. მის გუნდში სამი 20-ქულიანი ვარსკვლავია, მაგრამ ამდენი ვერავინ გაიღო — ვერც არენასმა, ვერც ბატლერმა და ვერც ჯემისონმა. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა არენასმა მხოლოდ 10 წუთი დაჰყო მოედანზე და 2 ქულით გავიდა თამაშიდან.

ლებრონი ხომ დათრგუნეს და, ვაშინგტონელებმა ისე გადასარევად იმუშავეს დაცვაში, რაც არასდროს ყოფილა მათი ძლიერი მხარე. „კავალერიამ“ პირველ დედაქალაქურ შეტევაში მისთვის საგანგაშოდ ცოტა ქულა შეაკოწიწა და თანაც საკუთარი დაცვაც ჩააფლავა. მასპინძელთაგან 14 ქულის გაკეთება შეძლო ყველაზე ზორბა და მოუქნელმა მეფარემ ბრენდან ჰეივუდმა, ვინაც კლივლენდურ თამაშებში ლებრონის ერთ-ერთი დამთრგუნავის ფუნქციას ზედმეტი გულმოდგინებით ასრულებდა და ერთხელ ხელებში ისეთი ჩასცხო „კლივლენდის“ ლიდერს, რომ ნბას კომისარმა დევიდ შტერნმა ლამის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

*სერიას ორლანდო იგებს 2:1*

**ტორონტო 108:94 ორლანდო**

**ტორონტო: ფორდი (21), კალდერონი (18 ქულა, 13 პასი), კაპონო (15), ბოში (15), მუნი (11 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (10)**

**ორლანდო: თურქოღლუ (26), ჰოვარდი (19 ქულა, 12 მოხსნა), ლუისი (19), ბოგანსი (12)**

ყველაზე თანაბარ აღმოსავლურ წყვილში ცხოვრება უდრტვინველად და მდორედ მიედინება — აქ ჯერ მხოლოდ მასპინძლები იგებენ. „ტორონტომ“ კალათბურთის კანადელ ქომაგებს სამხრეთული ფლორიდიდან წყვილი დამარცხება „ჩაუტანა“, მაგრამ შინ მაინც შეძლო მათი გამარჯვებით დაპურება. ორლანდოელი ცენტრი დუაიტ ჰოვარდი შეეშვა ქულა-მოხსნების ოც-ოცობით გროვებას, გასვლით მატჩში მხოლოდ 19 ქულა და 12 მოხსნა მოაქუჩა და მისიანთაგან სხვას მოუხდა ლიდერის ტვირთის აკიდება. ასეთი გამოდგა მთელი რეგულარული სეზონის განმავლობაში გადასარევად მოთამაშე თურქი მსუბუქი ფორვარდი ჰიდაიეთ თურქოღლუ, ვინაც ხშირად ცდილობდა თამაშის გამწვავებას და ტორონტოელებს მალიმალ ჰკიდებდა პერსონალურებს. მან 13 ცდიდან 12 საჯარმო გამოიყენა და შეხვედრის ბომბარდირი გახდა. მაგრამ ამ მატჩის ბედი ფორვარდებმა კი არა უკანახაზელებმა გადაწყვიტეს, ტორონტოელმა დაბლებმა კი აშკარად და გამოკვეთილად დაჯაბნეს ორლანდოელი ოპონენტები. მასპინძელთა გამთამაშებლებმა თიჯეი ფორდმა და ხოსე კალდერონმა (ძალიან ძნელი გასარკვევია, ამათგან რომელია ძირითადი და რომელი სათადარიგო) ჯამში 39 ქულა, 16 პასი და 12 მოხსნა გააკეთეს და მოედნიდან წაშალეს ჯამეერ ნელსონი და სხვა ორლანდოელი პატარები.

### დასავლეთი

*სერიას იუტა იგებს 2:1*

**იუტა 92:94 ჰიუსტონი**

**იუტა: უილიამსი (28 ქულა, 12 პასი), ბუზერი (15 ქულა, 13 მოხსნა), ოქური (12 ქულა, 11 მოხსნა), ბრიუერი (12), პარპრინგი (10)**

**ჰიუსტონი: მაკგრეიდი (27), ელსტონი (20), სკოლა (16 ქულა, 10 მოხსნა), ბეტიე (12)**

ჰიუსტონელებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს სულში ჩაბუდებული მაჯლაჯუნების მოშთობა და ორი შინაური მარცხის შემდეგ გასვლაზე გატეხეს „იუტა“, რომელიც სხვათა შორის, შინ პრაქტიკულად არ აგებს და სერიის მძლავრად დაწყების შემდეგ „ჰიუსტონის“ 4:0 შემუსვრას ფიქრობდა. გამარჯვებულთა მხრიდან საუკეთესო იყო ტრეისი მაკგრეიდი, ვისაც მთელი კარიერის განმავლობაში უკიჟინებენ, უნიათო ხარ და მარტო რეგულარულ ჩემპიონატებში ვარგიხარო. მაკგრეიდის არასდროს დაუძლევია პლეი ოფში თუნდაც ერთი წრე და ეს იქნებ ვერც ახლა მოახერხოს, მისი წყალობით „ჰიუსტონს“ უკვე ისე აქვს საქმე გაფუჭებული, მაგრამ ამ გასვლით თამაშში რომ გამოანათა, ესეც ჩაითვლება. თანაც მაკგრეიდიმ მაშინ გამოიღო ხელი, როცა ტრადიციულად ფლავდება, ბოლო მეოთხედის უკანასკნელ სამნახევარ წუთში მან შვიდი ჰაერივით საჭირო ქულა მოუტანა თავის გუნდს და ასე წაგლიჯა გამარჯვება მასპინძლებს.

მაგრამ არა მხოლოდ მაკგრეიდი იმსახურებს ჰიუსტონელთაგან გამორჩევას. კარგი იყო გამთამაშებელი რაფერ ელსტონი, ვინაც რეგულარული სეზონიდან მოყოლებული 2 კვირა გააცდინა, ახლა კი 20 ქულით დაბრუნდა.

**ივანე ძოგიაშვილი**



# გეორ-გიამ კუნთები ლარებით გაიხურეს

**თბილისში** ნასტუმრები გეორ და გია ამ დილით პეკინში გაფრინდნენ, სადაც პლაჟის ფრენბურთში მორიგ მსოფლიო ეტაპზე ითამაშებენ. ორი დღით ჩამოსულმა რენატომ და ჟორჟიმ კი აქაც მოასწრეს ფრენბურთობა და პეკინისკენ ქართული ლარებიც გაიყოლეს.

გეორ და გიამ თბილისის მერიის თასზე ითამაშეს, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი ლარი იყო. ტურნირში 16 წყვილი მონაწილეობდა, ფინალამდე კი გეორ-გიამ და ვახტანგ ჩიქოვანის და სულხან ახვლედიანის წყვილმა უწიეს. ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონებს რიკარდოს და ემანუელს უგებენ და პლაჟის ფრენბურთში გამოუცდელ ჩიქოვანს და ახვლედიანს მათთან, აბა რა შანსი ექნებოდათ? საბოლოოდ ფინალში გეორ-გიამ 21:17 და 21:16 დაამარცხეს მეტოქე, საქართველოში პირველი სტუმრობა გამარჯვებით აღნიშნეს და პეკინის მსოფლიო ტურამდე კუნთებიც გაიხურეს.

**ბაჩო სვანიძე**

**გეორ-გია პეკინში საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა გააცილა**

გადმოი ჯეიმსაძის ფოტო

ჭეშმარიტი QUARTZITE
ლიბერ
უფრაჯი ქონება

ევროპის ერთა თასი

## საქართველო – ესპანეთი

დღეს: თბილისი. ეროვნული. 15 საათი

# ერთად ავიღოთ რევანში

დღეს საქართველოს ნაკრებმა მოგებით უნდა გაიფორმოს 2007-08 წლების ერთა თასის ჩემპიონობა და 2001 წლის შემდეგ ევროპაში მეშვიდე გუნდად მეორედ დაფუძნდეს.

ამ საქმეში ქართველებს ერთი ნაბიჯიღა დარჩათ, „ეროვნულზე" ესპანეთი უნდა დაამარცხონ და შარშანდელი წაგებისთვის ღირსეული რევანში აიღონ. დღეს ჩვენებს ვერ დაეხმარებათ კუნთმტკივანი გიორგი შკინინი, რომლის ადგილს მარქაფში სანდრო თოდუა დაიკავებს.

ჩვენ კი მივიდეთ სტადიონზე და ალალი რაგბობისთვის და რუსეთის მინგრევისთვის ღირსეულად დავაფასოთ ბორჯღალის კაცები. მით უმეტეს, ბილეთი სულ რაღაც 1 ლარი ღირს...

## საქართველო ესპანეთთან

1999 წლამდე ესპანური რაგბის მამები ჯიუტად ცდილობდნენ „ლომებში" მხეცი გაეღვიძებინათ. იმ დროისთვის ესპანეთის რაგბის კავშირს მადრიდელი ალბერტო პიკოა თავკაცობდა, თუმც რეალურად იქაური რაგბის ავან-ჩავანს ბასკი ხოსე მარია ეპალსა განაგებდა, ვინც ევროპაში რაგბის განვითარების ფედერაციის (FIRA-AER) ელჩი იყო რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB). აქვე განვმარტოთ, FIRA-AER-ის ეგიდით ტარდება ევროპის ერთა თასი, ხოლო IRB მსოფლიო რაგბის გამგებელია.

სწორედ ეპალსას მარიფათს უკავშირდება დასავლეთის იბერიელთა წარმატებები. ბასკმა მალევე გამონახა საერთო ენა 1999 წლის მსოფლიოს თასის საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორთან, ფრანგ მარსელ მარტენთან და იმგვარად მოაკვარახჭინა საქმე, რომ ესპანელებს შესარჩევი ტურნირის ზედიზედ სამ ეტაპზე მეტოქედ იმ დროისთვის სუსტი პორტუგალია ერგოთ. ესპანელებმა სამივეჯერ მოუგეს მეზობლებს და 1999 წლის მსოფლიოს თასზე გავიდნენ. თასზე იბერიელებმა ყველა მატჩი წააგეს და ოცი მონაწილიდან მხოლოდ მათ ვერ გაიტანეს ლელო.

მსოფლიოს თასის შემდეგ, ესპანელები 2000 წელს ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ჩაებნენ, რომლის ფორმატი დაუხვეწავი იყო და ხან ერთა თასი ერქვა, ხანაც ექვსი ერის B დივიზიონი.

სწორედ იქ შედგა პირველი ქართულ-ესპანური სარაგბო დაპირისპირება. მადრიდის უნივერსიტეტის მოედანზე „ლომებმა" ბორჯღალოსნები 36:32 დაამარცხეს. ნამატჩევს ქართველთა დამრტყმელმა მალხაზ ურჯუკაშვილმა გვიამბო, ესპანელები ბურთს ურცხვად აფურთხებდნენ, ჩვენ რომ დავეთარსეთო. მეორედ „ლომები" და ბორჯღალის კაცები 2002 წელს რუსთავში შეხვდნენ ერთმანეთს. ეშხიან რაგბობაში ჩვენებმა 43:10 გაანადგურეს სტუმრები. სწორედ იმ მატჩის შემდეგ შეარქვეს ესპანელებმა ჩვენს უნივერსალს, ვასილ კაკაძეს ქართველი „ლომუ". კაკაძემ იმ მატჩში, რასაც ჰქვია, დაარბია ესპანელები.

ქართულ-ესპანური დაპირისპირებებიდან გამოსარჩევი კიდევ ორი მატჩია. 2004 წელს, როდესაც საქართველოს ნაკრებს მოლეული ჰქონდა მსოფლიოს თასი, გუნდში თაობათა ცვლა მიმდინარეობდა. იმ სეზონში ერთა თასს პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენებიც ექსპერიმენტული გუნდით ჩავიდნენ მადრიდში. ჩავიდნენ და, კოკისპირულ წვიმაში ფრედ, 6:6 ითამაშეს. შარშან კი, როდესაც საქართველოს ნაკრებს უკვე განაღდებული ჰქონდა 2007 წლის მსოფლიოს თასის საგზური, კვლავ ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავიდა მადრიდში და ამჯერად 17:31 წააგო. სწორედ ამ მარცხმა შეუშალა ხელი ჩვენებს, 2007-08 წლების ერთა თასის დიდი სლემით (ყველა მატჩის მოგება) ჩემპიონობაში.

2000. 3 აპრილი
**ესპანეთი 36:32 საქართველო**
2001. 17 მარტი
**საქართველო 43:10 ესპანეთი**
2002. 24 მარტი
**ესპანეთი 18:34 საქართველო**
2003. 22 თებერვალი
**საქართველო 34:3 ესპანეთი**
2004. 22 თებერვალი
**ესპანეთი 6:6 საქართველო**
2006. 28 ოქტომბერი
**საქართველო 37:23 ესპანეთი**
2007. 17 მარტი
**ესპანეთი 31:17 საქართველო**

| საქართველო | | ესპანეთი |
|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | ხავიერ კანოსა |
| ირაკლი ჩხიკვაძე | 14 | მარტინ ერიცარა |
| დავით კაჭარავა | 13 | მატიო გრატონი |
| რევაზ გიგაური | 12 | პაბლო ფეიხო |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 11 | სირილ იხარი |
| ლაშა მალაღურაძე | 10 | ივან კრიადო (კაპ) |
| ირაკლი აბუსერიძე (კაპ) | 9 | რაფაელ კამაჩო |
| დიმიტრი ბასილაია | 8 | სერხიო სოუტო |
| გიორგი ჩხაიძე | 7 | ხესუს რეკუერა |
| რატი ურუშაძე | 6 | ლეანდრო არამბურუ |
| მამუკა გორგოძე | 5 | ხოსე ბორხესი |
| გიორგი ნემსაძე | 4 | მანუელ სერანო |
| დავით ქუბრიაშვილი | 3 | ხავიერ სალასარი |
| იური ნატრიაშვილი | 2 | ხესუს მორენო |
| დავით დადუნაშვილი | 1 | ხუან გონსალესი |
| **სათადარიგოები** | | |
| შოთა მელიკიძე | 16 | მანუელ მასო |
| სიმონ მაისურაძე | 17 | ხაიმე ნავა |
| კახა უჩავა | 18 | იგნასიო მარტინი |
| ბესიკ უდესიანი | 19 | ვიქტორ მარლე |
| ბიძინა სამხარაძე | 20 | ხუან კანო |
| მერაბ კვირიკაშვილი | 21 | რაფაელ ალვარესი |
| სანდრო თოდუა | 22 | სესარ სემპერე |

*მსაჯები: კარლო დამასკო; დომენიკო სირონი, რიკარდო ბონაკორსი (იტალია)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +170 | 16 |
| რუსეთი | 10 | 8 | 0 | 2 | +165 | 16 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +130 | 12 |
| ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -18 | 6 |
| ჩეხეთი | 10 | 0 | 0 | 10 | -447 | 0 |

დევკაცი მამუკა გორგოძე ესპანელებს დღესაც დააწიოკებს

გაფდარი ჯალიაშვილის ფოტო

ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი. 20 აპრილი - 4 მაისი. პლოვდივი. ბულგარეთი

# ფანცულაია აღარ ხუმრობს

**მეოთხე** ტურში ლევან ფანცულაიამ თეთრი ფიგურებით სერგეი სჟაბოს მოუგო და ლიდერობა შეინარჩუნა. მან თუ ასე გააგრძელა თამაში, საქართველოს ჩემპიონობას კიდევ ერთ ჯილდოს მიუმატებს.

ქართველმა დებიუტში მხედარი f3-ე უჯრაზე დასვა, უკან კუ სნაიპერივით დაუყენა და მე-5 სვლაზე როქი გააკეთა. ფანცულაიამ ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა, გაცვლებს მიმართა და უპირატესობას დაეუფლა. ჩვენებურმა მთელი ძალები შავ ხელმწიფეზე მიუშვა, გასაქანი არ მისცა და მე-40 სვლაზე დააშამათა.

დანარჩენი ქართველები ლევანისავით ვერ ყოჩაღობენ და ცხრილის შუაში არიან.

გოგონებიდან ლიდერებში არავინ გვყავს. ყველაზე უკეთ ნანა ძაგნიძე თამაშობს. მეოთხე ტურში ნანამ მნიშვნელოვანი პარტია მოიგო და ჩემპიონობის შანსს კვლავაც ინარჩუნებს, იგი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. საქართველოს ჩემპიონმა შავი ფიგურებით ინგლისელი დაგნე ციუკსიტი 38-ე სვლაზე დააშამათა.

**ლაზა გეგეჭკორი**

### ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1:0 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| ვან იუე (ჩინეთი) | 1:0 | ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | მაგნუს კარსლენი (ნორვეგია) |

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ გრიშჩუკი | 3 |
| 2. სერგეი კარიაკინი | 2,5 |
| 3. თეიმურ რაჯაბოვი | 2,5 |
| 4. ვუგარ გაშიმოვი | 2,5 |
| 5. გატა კამსკი | 2,5 |
| 6. ვან იუე | 2,5 |
| 7. მაიკლ ადამსი | 2,5 |
| 8. მაგნუს კარლსენი | 2 |
| 9. ეტიენ ბაკრო | 2 |
| 10. შაჰრიარ მამედიაროვი | 2 |
| 11. პიოტრ სვიდლერი | 1,5 |
| 12. ერნესტო ინარკიევი | 1,5 |
| 13. დავიდ ნავარა | 1 |
| 14. ივან ჩეპარინოვი | 0 |

ჩოგბურთი

ულაცები
მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო. თიხა. საპრიზო 2 370 000 ევრო

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **დავიდ ნალბანდიანი** (6, არგენტინა) 5:7 6:2 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) 6:1 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **სემ ქუერეი** (აშშ); 6:4 6:0; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) 6:3 4:6 7:5

## შაფათავა შაბათამდე ვერ მივიდა

**მეოთხედფინალში** დაასრულა თამაში უზბეკური ნამანგანის მაგარსაფარზე ქართველმა ჩოგბურთელმა სოფო შაფათავამ.

ნამანგანში ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და სოფომ ორი გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალში 2:6 5:7 წააგო განთესვის მეხუთე ნომერთან, ჰოლანდიელ ჩეინი ევიკთან.

ჰოკეი



## პლეი ოფი მეორე წრე

24 აპრილი

**მონრეალი 4:3 ფილადელფია**
0:2 2:0 1:1 1:0 (ოვერტაიმში)
*სერია მონრეალს მიჰყავს 1:0*
0:1 ამბერგერი (14, ჯონსი, ჰეტჩერი), 0:2 დაუდი (17, დაუნი, ტორესენი), 1:2 ა. კოსტიცინი (30, ს. კოსტიცინი), 2:2 კოვალიოვი (37, უმც. პლეკანეცი), 2:3 ლუპული (41, უმრ. კობერნი, რიჩარდსი), 3:3 კოვალიოვი (60, უმრ. კოივუ), 4:3 კოსტოპულოსი (61, მარკოვი)

**დეტროიტი 4:3 კოლორადო**
3:1 1:2 0:0
*სერია დეტროიტს მიჰყავს 1:0*
0:1 შასტნი (9, სმიტი, ჰეიდუკი), 1:1 ზეტერბერგი (10, დაციუკი, რაფალსკი), 2:1 კლირი (14, ფრუნცენი, რაფალსკი), 3:1 ფრუნცენი (18, უმრ. კრუნვალი, ჰედლერი), 4:1 ფრუნცენი (22, ფილპულა, სამუელსონი), 4:2 ლაილსი (26, მაკლაუდი, ჰენანი), 4:3 ჰეიდუკი (37, შასტნი, სმიტი)

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# იწვიმებს, არ იწვიმებს...

## პირველი ფორმულა ევროპაში დაბრუნდა




პარასკევის პირველი თავისუფალი პრაქტიკა კიმი რაიკონენმა მოიგო

**აჰა,** მიიწურა საკვირიანი შესვენება და ისევ ახმაურდა „სამეფო რბოლების“ სამყარო — ბარსელონაში გუშინ თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო და ხვალ „ესპანეთის დიდი პრიზი“ დასრულდება სეზონის მეოთხე სარბოლო უიქენდი, რომელიც, ამავდროულად, პირველი ევროპული ეტაპია მიმდინარე ჩემპიონატში და მრავალთა აზრით, სეზონი, თითქოს ახლიდან იწყება.

კატალონიურ ეტაპს მთელი საპირველფორმულო სამყარო მოუთმენლად ელოდა. გასული სამი კვირის მანძილზე გუნდები მოხლჩაუხრელად შრომობდნენ, თავიანთ ბოლიდებს აუმჯობესებდნენ, ექსპერტები კი, გუნდების ძალა და ძალთა რეალური განლაგე:ბა, სწორედ ახლა უნდა გამოჩნდესო, ასე ამბობდნენ.

ამ მოლოდინსა და იმედებს, დიდ შანსია, წყალი გადაესხას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — სინოპტიკოსებმა უქმეებისთვის წვიმა ივარაუდეს და თუ მართლა ასე მოხდა, ყოველგვარ ძალთა რეალურ განლაგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება — წვიმის რბოლა ობიექტურ სურათს ვერ მოგვცემს და პირიქით, სიურპრიზების მოლოდინში უნდა ვიყოთ.

გუშინდელი პირველი თავისუფალი პრაქტიკა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „ფერარის“ მრბოლებმა მოიგეს — მსოფლიოს ფინელმა ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა „კატალუნია მონტმელოს“ წუთსა და 20,649 წამში შემოუქროლა და თავის ბრაზილიელ თანაგუნდელ ფელიპე მასას წამის ხუთი მეასედით აჯობა.

მესამე შედეგი „მაკლარენელ“ ლუის ჰემილტონს ჰქონდა, ვინც „ფერარელებს“ ნახევარი წამით ჩამორჩა. მეოთხე რობერტ კუბიცა („BMW-ზაუბერი) იყო, მეხუთე — ჰემილტონის თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი, მეექვსე დრო კი „რენოს“ ლიდერმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ აჩვენა.

ალონსო, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრშია. რბოლა ხომ მის სამშობლოში იმართება და ქომაგები მოუთმენლად ელიან თავიანთი კერპისგან წარმატებას. თავად ფერნანდო დიდად ოპტიმისტურად არ არის განწყობილი, ამბობს, მართალია, ბოლო სამ კვირაში „რენომ“ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, მაგრამ საეჭვოა, ეს პროგრესი პოდიუმს ეყოს, ალბათ, ქულათა ზონაში მოსახვედრად მომიწევს ბრძოლაო.

სხვანაირად ფიქრობს „რენოს“ შეფი, ფლავიო ბრიატორე, ვისაც მიაჩნია, რომ „რენო“ უკვე მზად არის, ვთქვათ, „BMW-ზაუბერთან“ კონკურენციისთვის და თანაც, ბრიატორეს აზრთ, მათი მთავარი კოზირი თავად ალონსოა, ვისაც მრავლისმნახველი იტალიელი თანამედროვე ჰელოტონის საუკეთესო მრბოლად მიიჩნევს.

მსოფლიოს ძველ ჩემპიონს, ინგლისელ დეიმონ ჰილს კი, თავისი თანამემამულის ლუის ჰემილტონის სჯერა და ამბობს, რომ შეიძლება წლეულს არა, მაგრამ ლუისი აუცილებლად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

თუმცა, ეს უკვე სამომავლო საუბარია. სადღეისო კი „ესპანეთის დიდი პრიზია“ და დარი იქნება თუ ავდარი, კითხვებს პასუხები ბარსელონაში გაეცემა.

**ძახა ლომაძე**

მეოთხე ეტაპი — ესპანეთის დიდი პრიზი

### კატალუნია მონტმელო

ბარსელონა, 27 აპრილი




ტრასის სიგრძე ---------- 4.655 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 66 წრე — 307.230 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე

### შარშანდელი შედეგები

1. მასა (ფერარი); 2. ჰემილტონი (მაკლარენი); 3. ალონსო (მაკლარენი); 4. კუბიცა (BMW-ზაუბერი); 5. კულტჰარდი (რედბული); 6. როსბერგი (უილიამსი); 7. კოვალაინენი (უილიამსი); 8. სატო (სუპერ აგური)

**წრის რეკორდი:** 2005 — ფიზიკელა (რენო) 1:15.641თ

სნუკერი

# სელბი წნეხში და ბევრი ჩინელი

**მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი**

### პირველი წრე

**რონი ოსალივანი (ინგლისი) — ლი ჩუანი (ჩინეთი) 10:5; ლიან ვენბუ (ჩინეთი) — კენ დოჰერტი (ირლანდია) 10:5; სტივ მაგუაერი (შოტლანდია) — ენტონი ჰემილტონი (ინგლისი) 10:3**

**შეფილდში,** სნუკერისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი წრე დასრულდა და მონაწილეთა რიცხვი განახევრდა — 32-დან თექვმეტამდე დავიდა.

16 საუკეთესოს შორი ვერ ვხედავთ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ მარკ სელბის და ეს პირველი წრის უმთავრესი მოულოდნელობაა.

ერთ-ერთი კი არა, ბევრის აზრით, სელბი, ვისაც 19 ივნისს 25 წელი შეუსრულდება, ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტი იყო. შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში ჯონ ჰიგინსთან მარცხის შემდეგ სელბიმ არნახულად მოუმატა, წელს უელსის ღია პირველობა და არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პოპულარული „მასტერსი“ მოიგო და მის მიერ ნაჩვენები თამაშის დონე ყველას აფიქრებინებდა, რომ სნუკერის ელიტას ერთი დიდი მოთამაშე კიდევ შეემატა.

ალბათ ასეც არის, მაგრამ ამ კონკრეტულ მომენტში სელბიმ, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო ფავორიტის სტატუსს, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიურად ვერ განეწყო და ბრწყინვალედ მოთამაშე მარკ კინგთან 8:10 დამარცხდა.

სელბი სატურნირო ბადის ქვედა ნახევარში იყო, კიდევ ორ ფავორიტთან, შონ მერფისა და სტივ მაგუაერთან ერთად. ამ უკანასკნელებმა, სელბისგან განსხვავებით, უპრობლემოდ დაძლიეს პირველი ბარიერი — 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მერფიმ 10:3 გადაუარა ვეტერან დეივ ჰეროლდს, ხოლო წლეულს ორი სარეიტინგო ტურნირის მომგებმა მაგუაერმა იმავე ანგარიშით დაჯაბნა ენტონი ჰემილტონი.

ახლა მერფი ბარი ჰოუკინსთან გამარჯვებულ ალისტერ კარტერს ხვდება, მაგუაერს კი ავსტრალიელი ნილ რობერტსონის სახით ურთულესი მეტოქე ჰყავს. დიდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ რობერტსონს წლეულს აშკარა ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ნაიჯელ ბონდთან ისე იოლად იმარჯვა (10:4), რომ, როგორც ჩანს, კრიზისი დაძლეულია და ასეთ შემთხვევაში კი მასთან თამაში არავის ესიამოვნება.

მთლად სელბის მარცხს ვერ შევადარებთ, მაგრამ გვარიანად მოულოდნელი შედეგით დასრულდა კენ დოჰერტისა და ლიან ვენბუს მატჩიც. ირლანდიელ ექსჩემპიონს, პრაქტიკულად, არანაირი შანსი არ ჰქონია და მეორე წრეში ჩინელი გავიდა.

კიდევ ერთი ჩინელი, თინეიჯერი ლი ჩუანი კარგა ხანს უძალიანდებოდა რონი ოსალივანს, თუმც მატჩის მეორე სესიაში სნუკერის ჯადოქარი საქმეს გაცილებით სერიოზულად მიუდგა და მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა.

მეორე წრეში რონი მასავით ორგზის ჩემპიონს, უელსელ მარკ უილიამსს ხვდება. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ უილიამსმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, სეზონის ბოლოს თამაშს თავს დავანებებო და ახლა, როგორც ჩანს, კარის გაჯახუნება უნდა — მარკმა თავის ინგლისელი სეზნია მარკ დევისი 10:3 გაანადგურა.

პირველი წრის მშვენებად იქცა ორი აზიელის, ჩინელი დინ ჯუნხუსა და ჰონკონგელი მარკო ფუს დაპირისპირება. თავიდან ჩინელი 5:1 დაწინაურდა, რასაც ფუმ ზედიზედ მოგებული ხუთი ფრეიმით უპასუხა. ამის შემდეგ კი თამაში პარტია-პარტიაში წავიდა — 6:6, 7:7, 8:8... და ბოლოს 9:9. თანაც მეტოქეებმა ორ-ორი ასქულიანი ბრეიკი გააკეთეს. გადამწყვეტ, მე-19 ფრეიმში დინმა იმარჯვა და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრიზე გავიდა, რომელმაც ასევე 10:9 მოუგო პროგრესირებად ჩრდილოირლანდიელ მარკ ალენს.

გუშინ შეფილდში, უკვე მეორე წრის მატჩები გახურდა, თუმც მათ შესახებ, უკვე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ მოგვიწევს საუბარი.

მეორე წრის წყვილები კი, სატურნირო ბადის მიხედვით, ასეთია:

**ზედა ნახევარი**

ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) — რაიან დეი (უელსი)
დინ ჯუნხუ (ჩინეთი) — სტივ ჰენდრი (შოტლანდია)
რონი ოსალივანი (ინგლისი) — მარკ უილიამსი (უელსი)
ჯო სვეილი (ჩრდ. ირლანდია) — ლიან ვენბუ (ჩინეთი)

**ქვედა ნახევარი**

შონ მერფი (ინგლისი) — ალისტერ კარტერი (ინგლისი)
მარკ კინგი (ინგლისი) — პიტერ ებდონი (ინგლისი)
ნილ რობერტსონი (ავსტრალია) — სტივ მაგუაერი (შოტლანდია)
სტიუარტ ბინგჰემი (ინგლისი) — ჯო პერი (ინგლისი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ჭინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge